ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ორშაბათი, ხუთშაბათი, შაბათი.

№108 (1618)

6-9 ნოემბერი, 1997 წელი

აქა ამბავი იმისა, როგორ გამოაცხადა მუჩაიძემ გამსახურდია და კოსტავა სოციალ-დემოკრატებად, ცხადია, მათი გარდაცვალების შემდეგ...

მეხუთე გვერდი

თვალსაზრისი

იყო თუ არა დიმიტრი ჯაში ილიას მკვლელი?

მეოთხე გვერდი

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა ორშაბათს

თბილისში ცხოვრობს კაცი, რომელიც ადამიანებს ნამდვილად კურნავს კიბოსაგან

რედაქციისაგან: ძვირფასო მკითხველო, ვიცით, ეს ხმამაღალი განაცხადი სენსაციებს დახარბებულ ჟურნალისტურ ტრიუკად მოგეჩვენებათ. აქაოდა, კიბოს წამალი მზისქვეშეთში ჯერ არავის მოუგონია და რას მიედ-მოედებითო. ჩვენ მხოლოდ ერთ რამეზე შეგვიძლია ხატზეც დავიფიცოთ, გავიცანით კაცი, რომელზედაც ქვემოთ მისივე პაციენტები მოგითხრობენ და იგი ნამდვილად გამორჩეული პიროვნებაა სიკეთით, პატიოსნებით, იდუმალი ცოდნით.

რაც შეეხება იმას, კურნავს თუ არა ყოველგვარ სნეულებას და მათ შორის კიბოს, აბა რა გითხრათ, მართალია, ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ მოუსმინეთ მის პაციენტებს, რომელნიც ჩვენი თვალით ვიხილეთ, მოდი და ნუ დაიჯერებთ.

ბოლოს და ბოლოს ექიმის ექსპერტი ავადმყოფი არ არის?

ეს ხალხი ხატზე იფიცებს, კიბო გვქონდა და თამაზ თავაძემ მოგვარჩინაო.

ისე, ძალიან უცნაურია ადამიანის ბუნება. მაინცადამაინც ჯადოქრად უნდა გამოაცხადოს მკურნალმა თავი, რომ დაუჯერონ, ან უნდა თქვას, მესიზმრა და ყველაფერს ვარჩენო, რომ დაუჯერონ, ჩვენ ჩვენს მკითხველებს ვუკიუინებდით, არ დაუჯეროთ ჯანდარელ ლამიას–თქო. არ დაგვიჯერეს და გაწბილდნენ.

ახლა გეუბნებით, დაუჯერეთ თავაძეს, არ დაუჯერებთ და წაგებთ, მეტი რა ვქნათ, დედას ხომ არ დავიფიცებთ?..

ვბეჭდავთ ჩვენი კორესპონდენტის საუბარს ბატონ თ.თავაძის პაციენტებთან და თვით თავაძესთან.

მეხუთე გვერდი



შევარდნაძეს ზვიადისტებთან შერიგება სურს

მეორე გვერდი

ეს რომ პრეზიდენტმა იცოდეს...

მესამე გვერდი

სამწუხაროა, რომ ნოდარ ახალკაცი სახელმწიფოს უცხადებს ომს

მეხუთე გვერდი

აქა ამბავი იმისა, როგორ გამოაცხადა მუჩაიძემ გამსახურდია და კოსტავა სოციალ-დემოკრატებად, ცხადია, მათი გარდაცვალების შემდეგ...

სოც-დემოკრატია „საბუდარში“ მისი ყოფილი მფლობელის „დაფერთხვის“ შემდეგ კიდევ ერთი კომპრომატი აღმოჩნდა. (მიმართვის ტექსტი).

ახლახანს თბილისში ჩამოსული მამია ბერიშვილის განცხადებით, აღხიშნული მიმართვა, რომელიც გურამ მუჩაიძემ თავის დროზე ახალგაზრდა სოც-დეკებს პარიზიდან გამოგზავნილ დოკუმენტად გააცნო, თავიდან ბოლომდე სიყალბეა, ფაქსიმილე კი, მისივე თქმით, კარგად გაკეთებულ ქსერო-ასლს ჰგავს. რაც შეეხება მასში მოხსენებულ მერაბ კოსტავას, მამია ბერიშვილის თქმით, იგი მას პირადად არც იცნობდა. ყოველივე ზემოთქმული მამია ბერიშვილმა ინტერვიუში განუცხადა სოც-დეკების გაზეთ „ერთობა“-ს რედაქტორს ირაკლი აროშიძეს. აღნიშნულ საუბარს ესწრებოდნენ ნოე ჟორდანიას ფონდის პრეზიდენტი ხათუნა ჟორდანია, პარტიის პოლიტიკური კოლეგიის წევრი, მამია ბერიშვილის ძმისშვილი, ნანული ბერიშვილი და სოც-დეკების ამჟამინდელი ლიდერი ჯემალ კახნიაშვილი. მიმართვაში ნახსენები გოლა ხვედელიძის თქმით, მსგავს შეხვედრას სასტუმრო „იბერიაში“ ადგილი არ ჰქონია. რაც შეეხება მერაბ კოსტავას, იგი მასთან სახლში მართლაც იყო ერთხელ, მაგრამ იგი პროფესორმა კოტე ცინცაძემ მიიყვანა, საუბარი კი სულ სხვა თემას შეეხებოდა. გოლა ხვედელიძის აზრით, მუჩაიძის პიროვნება ასე თუ ისე ცნობილია, მაგრამ იგი არც ჯემალ კახნიაშვილს თელის პარტიის ლიდერის თანამდებობისთვის შესაფერისად და აცხადებს, რომ ისინი შარაგზის ყაჩაღებივით მოიქცნენ ოფისის ძალის გამოყენებით დასაკუთრებისას.

პარტიული ქონებისათვის დაცა გასაგები, მაგრამ რა ხერხებს და საშუალებებს იყენებენ ჩვენი „პარტიული მუშაკები“ საკუთარი პიროვნების დასამკვიდრებლად პოლიტიკურ სივრცეში, ეს მართლაც შესწავლის ღირსი მოვლენაა და საყოველთაო ყურადღებას იმსახურებს. გულდასაწყვეტი მხოლოდ ისაა, რომ შესაფერი მომენტის დადგომამდე ისინი საზოგადოებისთვის ცნობილი არ არიან. ასე დასრულდა ამბავი სოც-დეკების ლიდერის გურამ მუჩაიძის „თვით-დამკვიდრებისა“. ერთი რამაა მხოლოდ საინტერესო - დაიჯერეს თუ არა ახალგაზრდა სოც-დეკებმა, რომ მერაბ კოსტავა მაინცდამაინც მართვის ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგეს, გურამ მუჩაიძეს ამოირჩევდა ხსენებული პარტორგანიზაციის ლიდერის თანამდებობაზე? ან ვინმე დაიჯერებს განა, რომ კოსტავა და გამსახურდია იმ პარტიის წევრობაზე ოცნებობდნენ, რომელსაც მთელი ცხოვრება ებრძოდნენ და რომელთა წინაპრებმაც ილია ჭავჭავაძე მოჰკლეს ბოლშევიკებთან ერთად?

ახლა კი გთავაზობთ ტექსტს, რომელიც სოციალისტთა სიყალბის უკვდავ ნიმუშად დარჩება...

ქეთევან ჯაყელი

საქართველოს ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატთა კავშირის ნევრებს

ძვირფასო მეგობრებო!

ნება მიბოძეთ მოგესალმოთ და გამოვხატო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახლ-ეარგარეთის ბიუროს დიდი კმაყოფილება თქვენი ორგანიზაციის დაფუძნებისა და გაზეთ „კარიბჭეს“ გამოცემის გამო.

მინდა შეგახსენოთ ზოგი რამ ჩვენი ისტორიიდან. კომუნისტური რეჟიმის წლებში საქართველოში არალეგალურად მოქმედებდა თქვენი წინამორბედი „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაცია, რომელიც სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან ერთად გმირულად იბრძოდა ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის 20-30-იან წლებში. „ახალგაზრდა მარქსისტები“ ტოლს არ უდებდნენ კომუნისტური წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებს. ბევრი ახალგაზრდა პატრიოტი იმსხვერპლა ბოლშევიკურმა სარეპრესიო მანქანამ. მათი ხსოვნა სამარადუამო იქნება.

50-იან წლებში საქართველოში იყო მცდელობა „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის აღდგენისა, რაც დაკავშირებულია აწ გარდაცვლილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სახელთან. ეს არ იყო შემთხვევითი. მისი მამა, ქართული მწერლობის კლასიკოსი კონსტანტინე გამსახურდია სოციალისტი, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის აქტიური წევრი იყო.

ბევრმა შეიძლება არ იცოდეს, რომ 80-იანი წლების ბოლოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის აღდგენა განიხრახა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ, რის თაობაზეც ჩემთან მოლაპარაკებას აწარმოებდა მასთან ერთად მერაბ კოსტავა. ჩვენ მაშინ თავი შევიკავეთ ბატონ ზვიად გამსახურდიასთვის პარტიის აღდგენის მანდატის გადაცემისაგან, რადგან მის გახმაურებულ „მონანიებას“ შეეძლო ზიანი მოეტანა პარტიული საქმეებისათვის. საზღვარგარეთის ბიურომ მანდატის გადაცემა შესთავაზა ბატონ მერაბ კოსტავას, მაგრამ მან თავი შეიკავა - ზვიადის ეწყინებაო და შემოგვთავაზა პროფესორ გურამ მუჩაიძის კანდიდატურა. საქართველოში მცხოვრები ნათესავების მეშვეობით ჩვენ შევაგროვეთ საჭირო მონაცემები ბატონ გურამ მუჩაიძის შესახებ და მე დამევალა მასთან თბილისში შეხვედრა და გასაუბრება, მართლაც, საქართველოში საგანგებო ჩამოვედი 1989 წლის გაზაფხულზე კერძო მოწვევით, სასტუმრო „იბერიაში“, ჩემს ოთახში შეეხვდი ბატონ გურამ მუჩაიძეს. შეხვედრას ესწრებოდნენ ჩემი ნათესავი გოლა ხვედელიძე და მერაბ კოსტავა. შეხვედრა კონფიდენციალურ ხასიათს ატარებდა. ბატონმა გურამ მუჩაიძემ, რომელსაც მაშინ პირველად შეეხვდი, ჩემზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა.

სულ ცოტა ხანში ბატონი გურამ მუჩაიძე კოოპტაციის წესით შეეყვანეთ პარტიის სახლეარგარეთის ბიუროს შემადგენლობაში და გადავეცით ამ გზით მას მანდატი საქართველოში სოციალ-დემოკრატიული პარტიის აღდგენისათვის, რაც მოგეხსენებათ, წარმატებით დაგვირგვინდა.

საბედისწერო საავტომობილო კატასტროფაში დაღუპვამდე ბატონი მერაბ კოსტავა მხარში ედგა ბატონ გურამ მუჩაიძეს პარტიის აღდგენა-დაფუძნების საქმეში, თუმცა ამის შესახებ თვით მ.კოსტავას თხოვნით საქვეყნოდ არ ეცხადებდით - ეუფრთხილდებოდით მის ურთიერთობას და მეგობრობას ზვიად გამსახურდიასთან, თუმცა ინფორმაციამ გ.მუჩაიძისა და მ.კოსტავას თანამშრომლობის შესახებ მაინც გაჟონა რუსეთის პრესის ფურცლებზე ასე, მაგალითად, 1990 წლის იანვარში მოსკოვში გამოცემულ საინფორმაციო ბიულეტენში „ღია ზონა“ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში მოქმედი სოციალ-დემოკრატიული პარტიების ლიდერების სიაში საქართველოდან მოყვანილია გურამ მუჩაიძისა და მერაბ კოსტავას გვარები.

ბუნებრივია, ბატონი ზვიად გამსახურდია განაწყენებული იყო ჩვენზე, რომ არ ვანდეთ პირადად მას პარტიის აღდგენის საქმე და ამიტომ დაუპირისპირდა იგი ბატონ გურამ მუჩაიძეს. ამისდა მიუხედავად მათ შორის ხშირად იმართებოდა საქმიანი საუბრები, ამგვარი საუბრები მეც მქონდა მასთან.

საგულისხმოა აღინიშნოს, რომ პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ უზენაესი საბჭოს სესიის 1991 წლის 25 ივლისის სხდომაზე პირდაპირ განაცხადა, რომ საქართველომ უნდა იაროს კაპიტალიზმისა და სოციალიზმის კონვერგენციის ანუ სოციალ-დემოკრატიული გზით. ამ განცხადებამ ჩვენ ყველა უკიდურესად გაგვახარა, მაგრამ, სამწუხაროდ, პრეზიდენტს აღარ დასცალდა განხრახვის სისრულეში მოყვანა. იგი, როგორც იცით, შეიარაღებული აჯანყების გზით გადააყენეს.

მე ღრმად მწამს და მჯერა, რომ საქართველოში სოციალ-დემოკრატიული იდეები კელავ გაიმარჯვებენ. ამაში თქვენ, ახალგაზრდებმა მნიშვნელოვანი წელილი უნდა შეიტანოთ.

გისურვებთ წარმატებებს ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს თავმჯდომარე

მამია ბერიშვილი

საფრანგეთი, ლევილი

აჭარის მოჩვენებითი „კონფლიქტის“ გამო

პარბა ხანია, რაც მთელი საქართველოს მკითხველი, ტელემაყურებელი და რადიომსმენელი შეშფოთებით ადევნებს თვალს საქართველოს პრეზიდენტის ე.შევარდნაძის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ა.აბაშიძის ურთიერთობათა განვითარებას, რომელშიც, თითქოს, მომავალი კონფლიქტის ნიშნები ისახება. ცხადია, რომ საზოგადოებრიობა გულგრილი ვერ დარჩება მის ზურგს უკან მიმდინარე ამ პროცესისადმი, რომელიც, შესაძლოა, ახალ განუზომელ უბედურებებს უქადის ჩვენს ქვეყანას.

საქართველოს გააჩნია საკმარისად მძლავრი ინტელექტუალური პოტენციალი, რათა სკრუპულოზობითა და მეცნიერული სიზუსტით გაარკვიოს, *რომელია* ეკონომიკურად, პოლიტიკურად, დემოგრაფიულად, სტრატეგიულად, კულტურულად და მორალურად ოპტიმალური სტრუქტურა ფუნქციებისა და ამოცანების განაწილებისა საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებას შორის, *რამდენად* სწორია, ამ თვალსაზრისით, მოქმედ პირთა მიერ დღემდე გადადგმული ნაბიჯები და რა ნაბიჯების გადადგმაა სასურველი, მისაღები ან დასაშვები მომავალში.

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია ძალ-ღონეს არ დაიშურებს საზოგადოების ინტელექტუალური ძალისხმევის საორგანიზაციოდ, რათა ობიექტური პასუხი გაეცეს ამ კითხვებს, და მოუწოდებს სხვა პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და მეცნიერულ ორგანიზაციებსაც, იგივე ქმნან.

მუშაობის შედეგები ცნობილი იქნება.

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე ნ.ნათაძე

შევრიგდეთ თუ ვიჩხუბოთ?

შევარდნაძეს ზვიადისტებთან შერიგება სურს

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის იდეას ეროვნული, საყოველთაო-სახალხო შერიგების თაობაზე, ექსპრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მომხრენი უარყოფითად აფასებენ.

მიმდინარე წლის 1 ნოემბერს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, რომელიც იმავდროულად ქვეყნის მმართველი პარტიის - საქართველოს „მოქალაქეთა კავშირის“ თავმჯდომარეა, „მოქალაქეთა კავშირის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის მესამე ფორუმზე ეროვნული შერიგების იდეა წამოაყენა.

ჩვენ შევრიგდებით ყველას და გადავდგამთ პირველ ნაბიჯს, რათა შერიგების იდეა, რეალობად იქცეს, - თქვა შევარდნაძემ.

„საინტერესოა, ეროვნულ შერიგებამდე შევარდნაძეს რამდენი ნაბიჯი აქვს განსაზღვრული და ახლა მერამდენე ნაბიჯი გადადგა“, - უთხრა პრაიმ-ნიუსს საქართველოს ყოფილი უზენაესი საბჭოს დეპუტატმა დალი ფიროსმანაშვილმა.

სრულიად საქართველოს „წმინდა ილია მართლის“ საზოგადოების გამგეობის წევრის გია ჩხიკვაძის თქმით, „სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, ზვიად გამსახურდიამ 1992 წლის 5 აგვისტოს გროზნოდან მიმართა საქართველოს მოსახლეობას საყოველთაო-ეროვნული შერიგების იდეით. შევარდნაძემ აიტაცა ჩვენი გეგმა, ელემენტარული ჭეშმარიტებაა - დამნაშავეს ეროვნული შერიგების გამოცხადების უფლება არა აქვს, - მიაჩნია ჩხიკვაძეს.

საქართველოს პრეზიდენტის თქმით, იგი გულწრფელი იყო, როცა რამდენიმე ხნის წინ საერთო-ეროვნული შერიგების იდეა წამოაყენა და გულწრფელია, როდესაც აცხადებს - საყოველთაო შერიგება „საქართველოს მოქალაქეთა კავშირის“ პოზიციაა.

საქართველოს თავისუფლებისა და ერთიანობის მოძრაობა „ჭყონდიდელის“ პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარემ ჯემალ გამახარიამ პრაიმ-ნიუსს უთხრა, რომ თუ შევარდნაძეს ერის შერიგება უნდოდა, მას კონკრეტული წინადადებებით მიემართეთ - სამართლებრივი შეფასება მისცეს 1991-92 წლების სახელმწიფო გადატრიალებას, გაათავისუფლოს პოლიტპატიმრები, აღუდგინოს რუსეთის ჯარს საოკუპაციო სტატუსი და დატოვონ მათ საქართველოს ტერიტორია - მაგრამ ამ მოთხოვნებიდან, არც ერთი არ შეასრულა, - თქვა გამახარიამ.

დალი ფიროსმანაშვილის აზრით, შერიგების იდეა მისაღებია, მაგრამ გასარკვევია, ვისგან მოდის იგი? თუ შერიგება ეროვნული ძალებისაგან მოდის, მაშინ ჩვენი დევიზიც საყოველთაო-ეროვნული შერიგებაა, მაგრამ ამ შერიგებას აუცილებლად უნდა ახლდეს მხილება, რომელიც პოლიტიკური ბრძოლის ერთადერთი და გამართლებული ხერხია, - აცხადებს ფიროსმანაშვილი.

სრულიად საქართველოს „წმინდა ილია მართლის“ საზოგადოების გამგეობის წევრმა ზაზა დაეთაიამ პრაიმ-ნიუსს უთხრა, რომ ეროვნული შერიგების იდეის განხორციელება შესაძლებელია, როდესაც დამნაშავე მხარე აღიარებს თავის დანაშაულს, წინააღმდეგ შემთხვევაში შერიგების ლოზუნგის სრულა, მხოლოდ და მხოლოდ მომავალი წინასაარჩევნო კამპანიისთვის გამიზნული ნაბიჯია.

ჯერჯერობით გაურკვეველია, როდის მოხდება საქართველოში საყოველთაო, ეროვნული-სახალხო შერიგება, როდესაც ერთმანეთის არ სწამთ საქართველოს პრეზიდენტის და ექსპრეზიდენტის მომხრეებს.

ნანა მიშველაშვილი

„პრაიმ-ნიუსი“

ვისზე, რა დროით და რატომ გაიყიდა ქართული ცირკი

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს
ბატონ ედუარდ შევარდნაძეს
საქართველოს რესპუბლიკის კულტურის მინისტრს
ბატონ ვალერი ასათიანს
საქართველოს რესპუბლიკის გაზეთების რედაქტორებს,
ქართველ ერს, ინტელიგენციას



არავისთვის დასამალი არ არის, რომ დღეს საქართველოში უამრავი გადაუდებელი პრობლემაა, ამ პრობლემათაგან ერთ-ერთმა უკიდურეს ინსტანციამდე მოიყვანა.

როგორც თავადაც მოგეხსენებათ, ქართული ცირკი ერთ-ერთი უნიკალური და მნიშვნელოვანი კულტურის ცენტრი გახლდათ საქართველოში. ამას ხელს უწყობდა მოგებიანი მდებარეობა, უმშვენიერესი ნაკრძალი, ნიჭიერი კოლექტივი. იგი ერთ-ერთი საყვარელი გასართობი და დასასვენებელი ადგილი იყო თბილისელთათვის და არა მხოლოდ მათთვის, ასაკის მიუხედავად.

დღეს ქართული ცირკი კატასტროფულ მდგომარეობაშია: გაიყიდა ცირკის შენობა, სასტუმრო, სათავსოები, ცირკის ეზო და მისი უმშვენიერესი ნაკრძალი, სადაც გამართულია რესტორნები, უცხოური ავტომანქანების გასამართი სადგური, ცირკის სასტუმროდან დარჩენილია 28 ადგილი 170 ადგილიდან, სამგზიეროდ გასტროლებზე ჩამოსულთ ცირკის შენობაში ვათავსებთ, სადაც ელემენტარული საცხოვრებელი პირობებიც კი არ არის, რაც, ბუნებრივია, ახალი კოლექტივების მოზიდვისათვის ანტირეკლამაა.

საკვალალოა ის ფაქტი, რომ საქაქციო საზოგადოებამ, რომელმაც 105000 ამერიკულ დოლარად შეფასებული ქართული ცირკი 30000 დოლარად ! იყიდა და კიდევ შავ ბაზარზე ნაყიდი ვაუჩერებით, არცკი ცდილობს ელემენტარული, შენობის შესანარჩუნებელი რემონტი ჩაატაროს, მეტიც, აქ განლაგებული ორგანიზაციები ერთ თეთრსაც კი არ დებენ ცირკის ანგარიშზე, რომ როგორმე გადაარჩინონ იგი. არადა შენობა ინგრევა, დაცხავებულია სახურავი, ჩამოდის წვიმის წყალი, გაპარტახებულია შენობის ფასადი, შენობაში დარღვეულია ყველა სანიტარული ნორმა. იბადება კითხვა, სად მიდის ცირკის ტერიტორიაზე განლაგებული ამდენი მოგებიანი ორგანიზაციებიდან შემოსული თანხა?! რატომ არ ხმარდება იგი ქართული ცირკის განვითარებას?! არადა მალე თბილისს ცირკის შენობა აღარ ექნება. იქნებ დადგა დრო შესაბამისი ორგანოები დაინტერესდნენ ქართული ცირკის სამეურნეო და ფინანსურ სფეროებში მიმდინარე მოვლენებით?!

ბატონო ედუარდ, თავს უფლებას ვაძლევ გავიმეორო თქვენი სიტყვები: კულტურის ძეგლები ქართველი ხალხის საკუთრებაა და მათი გადაცემა კერძო სარგებლობაში დაუშვებელია! ასევე არა ერთხელ გითქვამთ – დადგა დრო, როცა ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოსო...

დადგა ასეთი დრო?!

და თუ დადგა, იქნებ ერთობლივი ძალისხმევით, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით სარეცხი მანქანებს ფირმა „არისტონის“ [illegible] ერთად, ცირკის შენობაზე კვლავაც, კვლავაც აკიაფებულიყო ქართული ცირკის მანიშნებელი წარწერა, მიუხედავად იმისა, რომ ეს პრობლემის, ყველასათვის თვალსაჩინო, მხოლოდ გარეგნული მხარეა და ამასთან ერთად იქნებ დღის წესრიგიდან ჩემი მორალური და ფიზიკური მოსპობის საკითხი მოხსნილიყო...

დარწმუნებული ვარ, გულთან ახლოს მიიტანთ ქართულ ცირკში შექმნილ მდგომარეობას, შეიქმნება ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტების რეალობის შემსწავლელი კომისია, რომელიც გაარკვევს, ეისზე, რა დროით და რატომ გაიყიდა ქართული ცირკი, დასახავს მისი გადარჩენის გეგმებს. ჩვენ კი, ქართული ცირკის მსახიობები, ყველაფერს გავაკეთებთ, კულტურის სამინისტროს და არა საქციო საზოგადოების ხელისშეწყობით, მოგებიანი გავხადოთ იგი, ქართველ ხალხს შევუნარჩუნოთ და ავადორძინოთ გაჩანაგების პირზე მისული ქართული ცირკის ფენომენი.

კეთილი სურვილებით და იმედით **ნანული მელქაძე**

ხალხთა მეგობრების ორდენის კავალერი, საცირკო ხელოვნების დამსახურებული მუშაკი, სპეციალური უმაღლესი განათლებით (გიტი-სი), ქართული ცირკის სამხატვრო ხელმძღვანელი, მთავარი რეჟისორი, საქართველოს დამსახურებული არტისტი.

თენგიზ ჯგუშია:

ეს რომ პრეზიდენტმა იცოდეს...

– თქვენს ირგვლივ საკმაოდ დიდი აჟიოტაჟია ატეხილი, მე მგონი ამას აჟიოტაჟი შეიძლება დაერქვას. რა არის ამის მიზეზი თქვენი აზრით, თუ არ ჩავთვლით მოქაკავშირიდან გამოსვლის ფაქტს?

– მე ვარჩევდი, რომ ყველაფერი დალაგებით მოგიყვეთ, რათა გქონდეთ საშუალება, ობიექტური დასკვნა გამოიტანოთ.

პირველ რიგში მინდა ყურადღება მივაქციოთ გეა-ს ინფორმაციას. მე მგონი, არსებობს იმის აუცილებლობა, რომ მიუთითოს ის წყაროები, თუ რაზე დაყრდნობით გაავრცელა ჩემს შესახებ ასეთი ინფორმაცია. ეს ეხება ძალით მოყვანილ სტუდენტებს, ქუჩაში „საქმის გასარჩევად“ მიწვევას და ასე შემდეგ.

ზუგდიდში ჩავედი 23 ოქტომბერს. ჩემი ჩასვლა იყო მოქაკავშირის დასასრულის დასაწყისი. მეორე დღეს გამართულ შეხვედრაზე დარბაზი გაივსო. შეხვედრა ჩატარდა საკმაოდ საქმიან ატმოსფეროში. ამაზე მიუთითებს ხალხის განწყობა, კითხვების სიმწვავე.

– ბოდიში, ყველაზე რთული კითხვა რომელი იყო თქვენთვის?

– დალაგებით მოგიყვებით და მაგ კითხვაზეც გიპასუხებთ. ძალიან კარგი კითხვაა.

შეხვედრის შემდეგ, საღამოს, აღგილობრივი ტელეკომპანიის ეთერში უნდა გასულიყო ამ მოვლენის ამსახველი მასალა, მაგრამ გამოირთო დენი. ეს ძალზე საეჭვოდ გამოიყურება, რადგანაც ბოლო დროს ზუგდიდს დენი საკმაოდ სტაბილურად მიეწოდება. მე შევამოწმე ოფიციალური არხების მეშვეობით და აღმოჩნდა, რომ გამორთვა თბილისიდან არ მომხდარა. მეორე დილით მთელი ზუგდიდი ლაპარაკობდა, რომ ჯგუშიას ეს სპეციალურად გაუკეთესო.

– მოქალაქეთა კავშირის ოფისში რა მიზნით მიხვედით?

– მე იქ ორი მიზეზის გამო მივედი: პირველი, მოვინახულე ლევან ალავიძე, ჩემი მეგობარი, მოქაკავშირელი, მოვიკითხე და ჩემთან სახლში დავპატიჟე სტუმრად. ის, რომ ჩვენ დღეს პოლიტიკური ბარიერის სხვადასხვა მხარეს ვდგავართ, ხელს არ უშლის ჩვენს მეგობრობას. მეორე მიზეზი კი ის იყო, რომ ზედმეტი ჭორებისა და მითქმა-მოთქმის თავიდან აცილების მიზნით, რაც წინა დღის მოვლენებს ახლდა თან (არადა ინფორმაციას მოკლებული ხალხი ყოველთვის ცდილობს ინფორმაციის ახალი წყარო გამონახოს), ბეჟან გუნავას შევთავაზე ტელედებატები. მხოლოდ შევთავაზე, არავითარი დაძალების უფლება მე არ მქონია და არც მიცდია ეს. შეეძლო თავისუფლად ეთქვა თავაზიანი უარი. მან კი გაღიზიანებულმა მითხრა: კაცობით მეტი უპირატესობა მაქვს საიმისოდ, რომ შენთან ტელედებატებზე არ დავჯდეო. თან რამდენიმე არაკორექტული გამოთქმაც მიაყოლა, რა გინდოდა, რას მოდიოდიო, და სხვა ამგვარები. თავიდან არ მივაქციე ყურადღება მის ასეთ ტონს, მაგრამ ბოლოს მისი კაცობის უზესტესი ფორმულირება მოვახსენე, როგორც იცნობენ მას ზუგდიდში, ეს იყო და ეს.

მივედი ტელეკომპანია „ოდიშში“ და ვთხოვე დაეთმოთ ჩემთვის ეთერი. რაც არ უნდა იყოს, ჩემი შეხვედრის შესახებ ორწუთნახევრიანი ინფორმაცია გაუშვეს, ხოლო გუნავას მთელი ერთსაათიანი მასალა უძღვნეს, სადაც ეს უკანასკნელი იჯდა და ხან ერთ მონაწილეს მიმართავდა, ახა, ახლა შენ თქვიო, ხან მეორეს და ჩემს საწინააღმდეგო ზღაპრებს აყოლებდა. ტელეკომპანიის ხელმძღვანელმა გრიშა ქობალიამ მითხრა: ვხედავ, რომ თავი მეჭრება შენთან, თენგო, მაგრამ დამღუპავენ მაგენი, შენი სიუჟეტი რომ გავუშვაო. ტელეეურნალისტმაც აღიარა, რომ მასზე ადგილი ჰქონდა ზეწოლას.

ამის მერე, პარასკევს, კიდევ ერთი შეხვედრა მქონდა ამომრჩევლებთან. ამჯერად დარბაზში ფეხის დასადგმელი ადგილიც აღარ იყო. ორივე შეხვედრის ვიდეოკასეტა მაქვს და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ვაჩვენებ.

ამ შეხვედრაზე ყველაფერი ითქვა, როგორც საერთო პოლიტიკურ სიტუაციაზე, ისე, კერძოდ, ზუგდიდზე და ბეჟან გუნავაზე. ის, რომ ახალი ტიპის მხედრიონი პარპაშებს ზუგდიდში მოქაკავშირის სახით, ბუტკებსაც რომ წოლში უდგანან, ხალხი რომ „სველი წერტილების მოწილეებს“ უწოდებს მათ, გუნავამ ფული რომ გამოიტანა და სად წაიღო, არავინ იცის, ფეხბურთელებს ხელფასს რომ არ უხდის, ბილეთები რომ გააძვირა და ფეხბურთის მოყვარულები სენაკიდან ჩამოყვანილ სპეცნაზს რომ აცემინა, რესტორნებში ფულს რომ არ იხდის მოქაკავშირის სახელით და სხვა მრავალი.

მე ზუგდიდის მოსახლეობა სერიოზულად მიეჭერს მხარს, იმიტომ, რომ სიმართლეს ვამბობ. აი, ასეთ რამეს კი ნამდვილად არ ვიტყვი: მე, უძლიერესი სპეციალისტი თბილისში დამჩაგრეს და აქ ჩამოვედი, რომ ლიდერი გავხდემეთქი. უბრალოდ, არა ვარ ასეთი მარტივი პიროვნება, რომ ასეთი რამ თუნდაც გავიფიქრო.

– თქვენ განაცხადეთ, რომ მოქალაქეთა კავშირს იმიტომ ტოვებთ, რომ ბარამძისა და მხედრიონელების მისალმების ცერემონიალი არ მოგეწონთ. მაგრამ აქ ორიოდე საეჭვო გარემოებაა. ჯერ ერთი, საქართველოში არ არის უეჭველო, რომ საწინააღმდეგო იდეურ თუ პოლიტიკურ ბანაკში მყოფ ძველ მეგობარს მიესალმო, გადაკოცნო, მოიკითხო და, მეორე, ამის გამო კავშირის დატოვება რაღაც მართალს არ ჰგავს. იქნებ ეს საბაბია მხოლოდ და არსებობს მიზეზი, რომელიც არ გითქვამთ?

– ბარამძის ეს ქესტი არ იყო მხოლოდ მისალმება, მან საკმაოდ დრამატული ხასიათი მისცა ყველაფერ ამას, გაკილებით გადაჭარბა იმ ფორმას, რასაც მეგობრის შეხვედრის ცერემონია შეიძლება ვუწოდოთ. მან თავის სიტყვაში „სახელმწიფოებრივად მოაზროვნეები“ უწოდა იმ ხალხს, რომელთაც პირადად დაიდეს წვლილი სამეგრელოს მოსახლეობის ძარცვაში და შეურაცხყოფაში. თქვენთვის საკმარისი იქნება ზუგდიდის მახლობლად მდებარე სოფელი დარჩელი ნახოთ. მე მხედრიონს არ ვებრძვი. მე ვებრძვი იმ მოვლენას, რაც მხედრიონის შესრულებით მოხდა ზუგდიდში.

ჯაბა რომ გვითვლის იქიდან ათას ჭკუისსასწავლებელ“ აზრებს, მაგას უნდა, რომ იმ „ფსევდოვაკაციის“ ფონზე ხალხს ძმათა დაღვრილი სისხლი დააივწყოს.

მე პირადად ვიცავდი ზუგდიდს ჩემს განსვენებულ ძმასთან ერთად მხედრიონისაგან. ეს ყველამ იცის.

გუნავა ამბობს, რომ ჯგუშია მაშინ ათასი ჯერის დამტაცებლებს იცავდა. მათი ოჯახი კანონიერი ხელისუფლების მომხრე სულაც არ იყოო.

– ბოდიში, ადრე რატომ არ ამბობდა გუნავა ამას? ხომ შეეძლო ეთქვა პარტიაში თქვენი მიღების დროს, ან არჩევნებამდე – არ გვინდა ეს კაცი ასეთი და ასეთიაო?

– მე არ ვიცი, რატომ არ ამბობდა. ყოველ შემთხვევაში გუნავა ჩემი მეგობარი არასდროს ყოფილა. თუ არ თქვა, ალბათ იმიტომ, რომ ზუგდიდი არ ცნობს მაგის სიტყვას, რომც ეთქვა, ყურს არავინ დაუგდებდა. ჩადით ზუგდიდში და იკითხეთ გუნავას კაცობა. გუნავას კაცობა მისი ქუჩიდან იწყება. ეს სიტყვები, რასაც ნიშნავს, ყველა ზუგდიდელი მიხვდება (მე დამაინტერესა, მართლაც ჰქონდათ თუ არა ამ სიტყვებს შესაბამისი მიმანიშნებელი შინაარსი. ერთ ზუგდიდელს ვკითხე და მართლაც მითხრა. რაც მითხრა, კერძო საკითხი და პოლიტიკასთან არავითარი კავშირი არა აქვს, ამიტომაც უფრო ეთიკური იქნება, თუ არ დავწერ ამას – პ.მ.). ისიც იცოდეთ, რომ გუნავა მე „საქმის გასარჩევად“ არ მიმიწვევია. მე მხოლოდ ვთხოვე, გავიდეთ ხალხთან და მას ველაპარაკოთ, რომ მათ სიმართლე დაინახონ-შეთქი.

რაც შეეხება მოქალაქეთა კავშირის დატოვებას, მხოლოდ ბარამიძის ქცევა მართლაც არ არის ამის მიზეზი. მიზეზია მოქალაქეთა კავშირში არსებული სიბინძურე და მიუღებელი პოლიტიკური მეთოდები.

– საინტერესოა, რატომ აქვს ადგილი ასეთ კომფრონტაციას, ადრე ხომ ყველანი ერთად იდექით, საკმაოდ კარგადაც უნდა გცნობოდათ ერთმანეთი?

– ეს კავშირი შეიქმნა არა – ბუნებრივად, მხოლოდ პრეზიდენტის ავტორიტეტზე დაყრდნობით. პირადად მე მხოლოდ იმიტომ ვიყავი ამ გუნდში, რომ შევარდნაძის პოლიტიკის აქტიური მხარდაჭერა მქონდა მიზნად. ახლა კი ისე გამოვიდა, რომ პრეზიდენტის ავტორიტეტზე დაყრდნობით შეიქმნა მოპარპაშეთა ორგანიზაცია – ახალი ტიპის მხედრიონი, რომელთა ნამდვილი სახის შესახებ პრეზიდენტს არანაირი ინფორმაცია არა აქვს.

– განა თქვენ გგონია „კეთილი მეფის“ ზღაპრული სიუჟეტი, რომ მან არ იცის, თორემ, რომ იცოდეს... შეიძლება დღევანდელი ინფორმაციის პირობებში იგი ინფორმაციულ ვაკუუმში იმყოფებოდეს?

– ეს რომ პრეზიდენტმა იცოდეს, კარგად გამიგეთ, შეუძლებელია... არ არის გამორიცხული, რომ მოქალაქეთა კავშირი ახდენს იმ საინფორმაციო არხების ბლოკირებას, ვთქვათ დაშინებით (საგდასახადო და ა.შ.).

რაც შეეხება ყველაზე რთულ კითხვას შეხვედრაზე, იგი ასეთია: – განა შევარდნაძის დროს არ შემოვიდა მხედრიონი? მე ვუპასუხე: შევარდნაძეს რომ ერთი ხელის მოსმით მოენდომებინა მათი მოშორება, ახლა აღარც შევარდნაძე იქნებოდა და აღარც სახელმწიფო. იქნებოდა მხოლოდ მხედრიონი.

ესაუბრა პ.მანძულაშვილი

● ილია – 160

იყო თუ არა დიმიტრი ჯაში ილიას მკვლელი?

უცნობი მასალები ილიას საიუბილეოდ

თვალსაზრისი



ДИДИ ИЛИАС მკვლელობა ქართული საზოგადოებრიობისთვის დღესაც მოუშუშებელი იარაა. ბუნებრივია, რომ ამ თემაზე პუბლიკაციები დღემდე არ წყდება. ვაქვეყნებთ უცნობ მასალებს, რომელიც ილიას მკვლელის, დიმიტრი ჯაშის მეუღლეს ეკუთვნის, იგი საინტერესოა, თუმცა კრიტიკული თვალით უნდა იქნას წაკითხული. იმედია, მკვლევარები ამ წერილს გამოეხმაურებიან.

1937 წელს, თბილისში, მხატვართა გალერეაში მოეწყო გამოფენა ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, რომელსაც ხელმძღვანელობდა გამოჩენილი ქართველი პოეტი გიორგი ლეონიძე.

საგამოფენო დარბაზში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით იყო წარმოდგენილი ბრძენკაც ილიას შინაარსიანი ცხოვრების გზა დაბადებიდან სიკვდილამდე და მრავალრიცხოვან დამთვალიერებელს იზიდავდა.

ერთ დღეს გამოფენა დაათვალიერა იჭავჭავაძის უკანასკნელი მოურავის დიმიტრი ჯაშის მეუღლემ, ქალბატონმა დარიამ და შეჩერდა მხატვრულ ტილოსთან „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა წიწამურში“, რომელიც გიორგი ნადირაძეს შეესრულებინა. აღშფოთებული დარჩა: სურათზე დ.ჯაში ხელით უთითებს ყაჩაღებს ილიას მოსაკლავად. მოურავი ხნიერი კაცის სახით არის წარმოდგენილი, აცვია ჩოხა-ახალუხი და მორგებული აქვს ხანჯალი. ის დიდულეაში, თვალებგადმოკარკლული და კბილებგაკრეჭილი ადამიანი მნახველის ზიზღს იწვევდა. სურათმა აღაშფოთა დარია. მაშინვე თვალცრემლიანი მივიდა გ.ლეონიძესთან და გულისტკივილით მიმართა: ბატონო გიორგი, სურათი „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“ სინამდვილეს ამახინჯებს: ჯერ ერთი, დიდი ილიას მკვლელობის დროს დ.ჯაში წიწამურში არ ყოფილა, მეორეც, ის არასოდეს ჩოხა-ახალუხითა და ხანჯლით არ დაიარებოდა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ილიას მკვლელობის დროს დიმიტრი 22–23 წლის ახალგაზრდა იყო და სურათში კი ნახევარ საუკუნეს გადაცილებულ კაცსა ჰგავს. განა შეიძლება სინამდვილის ასე გაყალბება?!

პოეტმა ყურადღებით მოისმინა ქალბატონ დარიას ნათქვამი და ჰკითხა, თქვენ ვინა ბრძანდებითო?

– მე დიმიტრი ჯაშის მეუღლე გახლავართ და მოვითხოვ, რომ გ.ნადირაძის სურათმა შეცდომაში არ შეიყვანოს მნახველები. მე 1907 წელს ქმართან ერთად ეცხოვრობდი საგურამოში და ყველაფერი კარგად ვიცი...

გ.ლეონიძემ აღარაფერი უპასუხა ქალს და ისე გაცილდა. სამი დღის შემდეგ კი მისი დავალებით სურათი კედლიდან ჩამოიღეს.

ქალბატონ დარიას და მის ოჯახის წევრებს წლების განმავლობაში აღელვებდათ და აწუხებდათ დიმიტრი ჯაშის მიმართ შეთხზული ცილისმწამებლური ბრალდება, თითქოს ის იყო დიდი ილიას ვერაგული მკვლელობის ორგანიზატორი, წიწამურში დატრიალებული საზარელი ტრაგედიის ხელმძღვანელი.

დიმიტრი ჯაშის „დანაშაულებრივი“ მოქმედების შესახებ იწერებოდა საჟურნალო და საგაზეთო წერილები, პიესები, კითხვა-პასუხები, განსაკუთრებით მრუდე სარკეში ფართოდ წარმოგვიდგინა დ.ჯაშის პიროვნება ცნობილმა მეცნიერმა პაატა გუგუშვილმა თავის წიგნში „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“, რომელიც 1938 წელს დაისტამბა.

სამწუხაროდ, პ.გუგუშვილის წიგნი არაერთმა მწერალმა თუ ჟურნალისტმა სარწმუნო წყაროდ მიიჩნია, იქიდან იხელმძღვანელეს და რამდენადმე განავრცეს კიდეც. ახლაც ბევრს კარგად ახსოვს, თუ როგორი ზიზღით ახსენებდნენ მკითხველები იჭავჭავაძის უკანასკნელ მოურავს და როგორ ზღუდავდნენ და აკიწროებდნენ მის მეუღლეს, ქალბატონ დარიას და შვილებს – იურისა და გიორგის.

1941 წლის დეკემბრის ბოლოს, როცა თბილისში მიმდინარეობდა დიდი ილიას მკვლელობაში ერთ-ერთი აქტიური მონაწილის გიორგი (გიგლა) ბერბიჭაშვილის სასამართლო პროცესი, სადაც სხვებთან ერთად ესწრებოდნენ დიმიტრი ჯაშის მეუღლე და ძმა, დამნაშავემ არ უარყო ბრალდება, რომ წიწამურში ილიას მკვლელობის ერთ-ერთი მონაწილეთაგანი იყო, მაგრამ იქვე რამდენიმე კაცის საპასუხოდ კატეგორიულად განაცხადა, რომ ის არ იცნობდა ილიას მოურავს დ.ჯაშს და ბუნებრივად, მასთან არავითარი ურთიერთობა ჰქონდა: „მე არაფერი ვიცი არც ჯაშზე, არც „ოხრანკა“ გამიგონია... „რომ მეფის ოხრანკამ“ მოაწყო ილია მკვლელობა და შემდეგ სოციალდემოკრატებს გადააბრალეს, ეს მე არ ვიცი...“

საარქივო მასალების დეტალური შემოწმებით და ილიას მკვლელობის დამდგენელი სამთავრობო კომისიის სარწმუნო მასალებით გამოვლინდა, რომ დიმიტრი ჯაშის მიმართ შეთითხნილი ბრალდება საფუძველს მოკლებული იყო და ნამდვილად ცდებოდნენ ავტორები, რომლებიც მის პიროვნებას წიწამურში დატრიალებული საზარელი მკვლელობის ორგანიზატორად თვლიდნენ.

დარია ჯაშს ცნობილი ჟურნალისტი და თეატრალი იოსებ იმედაშვილი გულწრფელად ურჩევდა, რომ დაწერა მოგონებები ილია ჭავჭავაძის შესახებ: „ქალო, მე შენ გეუბნები, ისე არ ჩახვიდე სამარეში, რომ არ დაწერო ის, რაც იცი ილიას მკვლელობის შესახებაო“.

ქალბატონი დარიაც ცდილობდა, რომ გარდასული წლების მოგონება ქაღალდზე გადაეტანა და დაეწერა მოგონებები ილიას ცხოვრებაზე და წიწამურის ტრაგედიაზე.

1964 წლის მარტში ქბათუმში დარია ჯაშს ესტუმრა ილ.ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის დირექტორი გ.მიხელიძე და კეთილი მასპინძლისგან რამდენიმე საინტერესო მოგონება ჩაიწერა. შემდეგ კი, როცა მუზეუმში დაბრუნდა, სახლ-მუზეუმის ამხსნელები გააფრთხილა: აღარ გაიმეოროთ დიმიტრი ჯაშის შესახებ ბრალდება, თითქოს ის ყოფილიყოს ილიას მკვლელთაგანი, „ოხრანკის“ აგენტი.

1965 წელს ამავე მუზეუმიდან მეც, ამ სტრიქონების ავტორი, ვიყავი მიელინებული ქბათუმში, ვესტუმრე დარია ჯაშის ოჯახს და ჩავიწერე მოგონებები. ქალბატონმა დარიამ და მისმა შვილმა, ბატონმა იურიმ არა მარტო გაიხსენეს ეპიზოდები დიმიტრი ჯაშის მოურავობის შესახებ, არამედ მიჩვენეს საქართველოს რუსეთის და საკავშირო რუსეთიდან გამოგზავნილი დოკუმენტური მასალები, რომელშიც გარკვევით აღნიშნულია, რომ „...დ.ჯაში სრულებით არ გადის გ.ბერბიჭაშვილის საქმეზედ და არც ყოფილა მსჯავრდადებული“.

ამის შემდეგ გავიდა წლები. გარდაიცვალა ქალბატონი დარია. მის მიერ დაწერილი მოგონებები კი საგურამოში, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში გამოგზავნა იური ჯაშმა.

ბრძენკაც ილიას შესახებ ხალხის ხსოვნაში მრავალი მოგონებებია ჩაწერილი და გამოქვეყნებული. ინტერესმოკლებული არ იქნება, რომ ჩვენი მკითხველები დარია კოპლატაძე-ჯაშის მოგონებებსაც გაეცნონ:

„ილია ჭავჭავაძემ უდანაშაულოდ მოკლული მოურავის მოსე მემარნიშვილის ადგილზე თავისი დის, ქალბატონ ელისაბედის თხოვნითა თუ რჩევით ჩემი მეუღლე, იმხანად 22 თუ 23 წლის ახალგაზრდა დიმიტრი ჯაში აიყვანა, რომელიც ადრე მასთან მუშაობდა „ივერიის“ სტამბაში ჯერ ასოთამწყობად, შემდეგ კორექტორად.

ზაფხულის პირველ დღეს ილიას ეტლით ჩვენი ოჯახის წევრები: დიმიტრი, მე და ჩვენი პატარა-ხუთი თვის გოგონა საგურამოში გავემგზავრეთ. ილია და მისი მეუღლე გულთბილად შეგვხვდნენ და შინაურულად მიგვიღეს. მახსოვს, რომ იმ დღესვე ქალბატონმა ოლღამ შემოყვანა თავის ოთახში, რომელიც მეორე სართულზე იყო, გააღო კარადის კარები, იქიდან გადმოიღო პატარა ყუთი, საიდანაც ამოიღო ორი ოქროს თუმნიანი და ჩემს გოგონას აჩუქა, თანაც დამილოცა ბავშვი და მეც სიყვარულით შუბლზე მაკოცა.

ბატონმა ილიამ თავის თანამშრომლებს გააცნო დიმიტრი და უთხრა: ახალი მოურავი ეს გვეყოლება. მართალია, სოფლის მეურნეობის საკითხებში ნაკლებად გათვითცნობიერებულია, მაგრამ მონდომებული ახალგაზრდაა, ყველაფერში მალე გაერკვევაო. ილიამ დაათვალიერებინა დიმიტრის თავისი ეზო-ბაღი და ვენახი, უჩვენა მიწის მზომლის მიერ შედგენილი თავისი მამულის გეგმა და მისცა ახსნა-განმარტება, თუ ნატურალური შემოსავალი საიდან რამდენი უნდა აიღო.

როგორც ცნობილია, საგურამოს მამულის ნაწილი ეკუთვნოდა ქალბატონ ოლღას, ნაწილი მის დას, ქალბატონ ეკატერინეს, ხოლო უფრო მეტი ფართობი მათი ძმის, ზაალ გურამიშვილის კუთვნილება იყო. სულიერად ავადმყოფ ზაალს არ შეეძლო მისი დამუშავება და ფაქტიურად მის მიწას ილია ამუშავებდა.

ჩვენ მალე ისე დაეუახლოვდით ილიას, რომ ხშირად ერთად ვსადილობდით კიდეც. მახსოვს, ერთხელ, ვახშმის შემდეგ ილიამ დიმიტრის უთხრა: „მე შენ წინასწარ ლუკმას არ გიზოგავ, სამსახურისათვის ჯამაგირს ორ გროშად ვიანგარიშებ, ოჯახი, რამდენიც გინდოდეს შენი ცოლ-შვილისათვის, იმდენი აიღე და გამოიყენე, სასმელ-საჭმელი რამდენიც დაგჭირდება, მოიხმარე და აი, თუ კარგად იმუშავებ, ერთ წელიწადში ბანკიდან რკეზირებულ თორმეტოთახიან სახლს შეგაძენინებ თბილისში, ამასთან ერთად 25 დესეტინა მამულსაც შეიძენ ან აქ, საგურამოში, ანდა მუხრანში, რომ შენ ცხოვრებაში წელგამართული იყო და ტკბილად იცხოვრო.

დიმიტრის მტკიცედ სჯეროდა, რომ დიდი ილია თავის ნათქვამს უსათუოდ შეასრულებდა და მზად იყო, მის მამულში კეთილსინდისიერად ემსახურა. იგი ეთაყვანებოდა ილიას და ენით გამოუთქმელ სიამოვნებას გრძნობდა მასთან და მის სტუმრებთან ერთად საუბარში.

ჩვენ ჯერ კიდევ ახლადმისულები ვიყავით და დაბინავებული სამოურაო შენობაში, როცა დიმიტრიმ აღმაშფოთებელი წერილი მიიღო: „სამი დღის განმავლობაში თუ არ დაგიტოვებია ჭავჭავაძის სამოურაო მამული და სახლი, შენც ის დღე მოგვლის, რაც მის პირველ მოურავს და მის მეუღლეს მოუვიდათ“. წერილი ანონიმური იყო, ხელს აწერდნენ ვიღაც „ტამოენის მუშები“.

აღელვებულმა დიმიტრიმ მაშინვე ის წერილი ილიასთან მიიტანა. წასაკითხად. იმანაც ჩვეული სიდინჯით გადაიკითხა და დამშვიდებული ტონით უთხრა: დიმიტრი, ეგ არაფერია, აქაური ქურდყაჩაღების ოინებია. ამის მსგავსი წერილები მეც რამდენჯერმე მივიღე და შენ მაგას ნუ შეუშინდები. ახლა აქ მცველად ოთხი სტრაჟნიკი გვყავს და ვერაფერს გაგვიბედავენ.

ილიას ნათქვამმა დიმიტრი დაამშვიდა.

იმ ხანებში ილიას განსაკუთრებით ემტერებოდა ვანო ინაშვილი, რომელიც ადრე სოფლის მამასახლისად მუშაობდა, მაგრამ თანამდებობას ბოროტად იყენებდა, მეტ გადასახადს ახდევინებდა გლეხებს, ხშირად ითვრებოდა და მათრახმოღერებული იგინებოდა. ილია რამდენჯერმე შეეცადა მის გამოსწორებას, მაგრამ რაკი მიზანს ვერ მიაღწია და გლეხებმაც სთხოვეს, რომ მათთვის მოეცილებინა ის ავყია ადამიანი, დუშეთის მაზრის უფროსს თანამდებობიდან მოახსნევინა.

ინაშვილი და მისი ძმაკაცი გიგლა ბერბიჭაშვილი ვერ ისვენებდნენ, ისინი გლეხებსაც რაზმავდნენ ილიას წინააღმდეგ.

იმ ზაფხულს საგურამოში ილიასთან სტუმრად იყო მისი ნათესავი ზაალ ჭავჭავაძე, რომელიც ხშირად ეთათბირებოდა კეთილ მასპინძელს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა საკითხებზე.

ერთ დღესაც მათ შორის ასეთი საუბარი მიმდინარეობდა: – აი, საგურამოს ქედზე ტყეს რომ ეუჭურებ, მახარებს, – თქვა ზაალმა, – თბილისის გარშემოც რომ ასეთი ტყე იყოს, სიცხით აღარ შეწუხდებოდა ხალხი, გრილი ნიავიც იქროლებდა... – დიახ, – დაუდასტურა ილიამ, – მართლაც კარგი იქნებოდა, რომ თბილისის ირგვლივაც კარგი ტყე გვქონოდა, როგორც ადრე ყოფილა, მაგრამ ქალაქის თავებმა, რომელთაც არაფრად მიაჩნდა ტყე, გაანადგურებინეს, ზოგი დაანახშირებინეს და ბაზარში გაყიდეს, ნაწილი სამშენებლო მასალად გამოიყენეს. ჰოდა, თუ გინდა კაცი დასაჯო, განსაკურებით იელისსა და აგისტოს თვეებში, ქალაქში უნდა დატოვო. – მაინც რატომ მიიღეს

გაგრძელება №1-6 გვ.

თბილისში ცხოვრობს კაცი, რომელიც ადამიანებს ნამდვილად კურნავს კიბოსაგან

პირველი გვერდიდან

გაბრიჩიძე სვეტლანა ივანეს ას. 58 წ.

დიაგნოზი: ავთვისებიანი ანგიოფიბრომატოზი ყოველწლიური რეციდივით.

1986 წ. ონკოლოგიურ ცენტრში დამიდგინეს სისხლძარღვთა ავთვისებიანი სიმსივნე. 1995 წლამდე გამიკეთდა 9 ონკოლოგიური ოპერაცია. მათ შორის ერთი ლენინგრადში. მოკვეთილი მაქვს ორივე მკერდი, ამოღებული მაქვს საშვილოსნო...

შემდეგი ოპერაციები მიკეთდებოდა მარჯვენა საზარდულის არეში, ყოველწლიური რეციდივით.

მე-9 ოპერაციის შემდეგ ოპერატორმა გამოგვიცხადა, რომ უკვე აღარ იკურებოდა ნაოპერაციები, იხეოდა კანი, ეს ნიშნავდა იმას, რომ უკვე ეუაკი განწირული. ამ პერიოდისთვის ღვიძლშიც გაჩენდა კისტა, რომელიც ჩემს სიცოცხლეს უქმნიდა საფრთხეს.

1995 წლის 9 აპრილს მივედი ბატონ თამაზ თავაძესთან სამკურნალოდ. 3 თვის მკურნალობის შედეგად მივაღწიე იმას, რომ აღარ განმეორდა რეციდივი, რაც მქონდა ყოველწლიურად და ყოველწლიურად მიკეთდებოდა ოპერაციები. მას შემდეგ გავიდა ორნახევარი წელი და პრაქტიკულად გადაურჩი კიდევ სამ ოპერაციას.

დღესდღეობით ვარ სრულიად ჯანმრთელი. არა მხოლოდ აღვადგინე ჯანმრთელობა, არამედ მე თვითონ გავხდი მკურნალი და ვეხმარები სხვას. ამ საზოგადოებაში მოხდა არა მარტო ჩემი ფიზიკური გამოჯანმრთელება, არამედ სულიერი ამაღლებაც. მე ბედნიერი ვარ, რომ მოვხვდი ამ საზოგადოებაში, სადაც გადაურჩი ფიზიკურად და სულიერად. ყოველივე ამის გამო მადლიერი ვარ და მადლიერება ალბათ მცირე სიტყვაა იმის გამოსახატავად, რასაც ვგრძნობ ბატონ თამაზ თავაძის მიმართ.

ლენა ხიზანიანი, 40 წ.

1982 წ. გავხდი ავად. დიაგნოზს მიდგენდნენ, მიდგენდნენ წლის განმავლობაში, დამიდგინეს ლიმფოგრანულომატოზი. ვმკურნალობდი ონკოლოგიურ საავადმყოფოში. გაიარე ქიმიოთერაპიის კურსი, სხივური თერაპიის რამდენიმე კურსი. მდგომარეობა თანდათან მოუარესდებოდა. მას შემდეგ, რაც დაიწყე აგნი-იოგით მკურნალობა, გამოუმჯობესდა ჯანმრთელობა, დამეუფლა ოპტიმიზმი. ამჟამად თავს ვგრძნობ კარგად. ონკოლოგიური ცენტრისთვის, მას შემდეგ, რაც აგნი-იოგას ვეარჯიშობ, აღარ მიმიკითხავს.

ნატა ბიძინას ას იორდანიშვილი

ბავშვობაში მშობლებს დავყავდი სამკურნალოდ ქგორკში. გარკვეული ხნის განმავლობაში ჩემი ავადმყოფობის განვითარება შეწყდა. 6 წლის ასაკში ავადმყოფობის შედეგები გარეგნულად დამეტყო. ამის შედეგად სიარულიც ძალიან გამიჭირდა. ფეხები აღარ მემორჩილებოდა. წონასწორობას ველარ ვიცავდი და ვიქცეოდი. ვგრძნობდი, რომ მდგომარეობა ყოველთვიურად მირთულდებოდა. ჩემი მშობლები ამას ვერ ურიგდებოდნენ. ყველა ხერხს ხმარობდნენ, რომ ჩემთვის რამე ეშველათ. ბევრ ექიმს უჩვენეს ჩემი თავი, მაგრამ ყოველი მათგანი ჩემი მდგომარეობის მხოლოდ რამოდენიმე პროცენტით გაუმჯობესებას გვპირდებოდნენ.

1997 წლის 24 მარტს პირველად მოვედი რერიხის საზოგადოებაში. თავიდან არ მქონდა გამოჯანმრთელების დიდი იმედი, მაგრამ პირველივე სეანსის შემდეგ მე მივხვდი, რომ მხოლო ამ საშუალებით მივაღწევდი სასურველ შედეგს. იმ 8 თვის განმავლობაში მკურნალობის შედეგად უკვე იმდენს მივაღწიე, რომ თავისუფლად დავდივარ, თავს სრულიად ჯანმრთელად ვგრძნობ და ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ღმერთმა არ გამწირა და ამ სანუკვარ ადგილას მომიყვანა.

გურამიშვილი ირინა კარლოს ას. 50 წ.

დიაგნოზი: მიტრალური სარქველის უკმარისობა და სტენოზი. ამის გარდა 18 წელია მაქვს მოციმციმე არითმია. მოვედი ბატონ თამაზთან ერთი დღით ადრე. ეიდრე დავწევებოდი საავადმყოფოში გულის ოპერაციის გასაკეთებლად.

აქ მოვედი 1997 წლის აპრილში, ძალიან კმაყოფილი ვარ, ძალიან კარგად ვარ, არ მჭირდება არაკითარი ოპერაცია. ვიყავი მწოლიარე ავადმყოფი, ახლა კი დღე არ გაეა, რომ სახლიდან არ გავიდე. ვარ აბსოლუტურად ჯანმრთელი და შრომისუნარიანი.

ქორიძე გივი დავითის ძე, 24 წ.

ემყოფებოდი ონკოლოგიურ საავადმყოფოში, სადაც დამიდგინეს სათესლე ჯირკვლის კიბო, გაკეთდა ოპერაცია და შემდეგ ჩატარდა ქიმიოთერაპია, საჭირო იყო ხელმეორედ გაკეთებულიყო ლიმფოდემატოზა, ასე რომ ეთქვათ, მუცლის ღრუდან ლიმფური კვანძების ამოღება და შემდეგ ისევ ქიმიური პრეპარატებით ჩარევა, მაგრამ ოპერაციის წინა დღეს მოვხვდი ბატონ თამაზთან, ამის შემდეგ გადავიფიქრე და აღარც დამჭირდა ოპერაციის გაკეთება, უკვე გავიდა სამი წელი მას შემდეგ და თავს ვგრძნობ ძალიან კარგად, უკვე არაკითარი სიმსივნე, არაკითარი მეტასტაზები აღარ არის ორგანიზმში.

ქეშელაშვილი ესაია დავითის ას, 38 წ.

1986 წელს დამეწყო მხედველობის კლება და გაორება. 1987 წლის ივნისში გამიკეთდა მოსკოვში თავის ქალის ოპერაცია დიაგნოზით – თავის ქალის ფუძის ნეკრომიომა. 1991 წ. გაკეთდა ოპერაცია განმეორებით ცხვირიდან, ასეთი ახალი მეთოდით ტრანსნაზალური ოგიე თავის ქალის ფუძეზე იქნა ამოღებული კიდევ კისტოზური ნაწილი და შეწყდა ოპერაცია იმის გამო, რომ დიაგნოზში შეეპარათ ეჭვი, ექსპერეს ანალიზმა უჩვენა სარკომატოზული კვანძები და შეწყვიტეს ოპერაცია, დამიბარეს 6 თვის შემდეგ განმეორებითი ოპერაციისათვის, რაც ველარ გაეკეთე, უსახსრობის გამო ვერ წავედი. აქ მოვედი 1996 წლის სექტემბერში. შინაგანი მდგომარეობა გამოუმჯობესდა ბევრად. აღარა მაქვს წნევები, უძილობა. აღარ დამჭირდა მესამე ოპერაცია, რომელიც, როგორც გითხარით, 6 თვეში უნდა გამეკეთებინა. მქონდა კრუნჩხვები, გადატანილი მაქვს ორჯერ მენინგიტი, ცხვირიდან არ მოხდა შეხორცება ხრტილოვანი გარსის, საიდანაც ინფექცია წავიდა და დამემართა მენინგიტი. ამჟამად აღარ მაქვს კრუნჩხვები, დავანებე კრუნჩხვის საწინააღმდეგო პერაპარტს თავი. მომემატა ფიზიკური ძალა და თავს ვგრძნობ კარგად.

ღულულაური სიმონ ომარის ძე, 30 წ.

ონკოლოგიური ოპერაციის შემდეგ დამიდგინდა დიაგნოზი: მარცხენა სათესლე ჯირკვლის სემინომა, მეტასტაზები იყო უკვე თეძოს არეში. კიბო იყო მე-4 სტადიაში, დამინიშნეს სხივური თერაპია. ამ პერიოდში გავიგე იოგურ მეთოდებზე. კერძოდ, ბატონი თამაზის მეთოდზე და მივედი მასთან სამკურნალოდ, მივედი იმ მდგომარეობაში, როცა არათუ ჭამა არ შემეძლო, თვით სასმელი წყლის მიღებაც კი. მისვლიდან ათი დღის შემდეგ მივატოვე სხივური თერაპია, წამოვედი ონკოლოგიური საავადმყოფოდან. ერთი თვის მკურნალობის შემდეგ მოვიმატე წონაში შვიდი კილოგრამი, თავს ვგრძნობ ძალიან კარგად. კიბოთი დამეღუპა და, მე, ფაქტიურად იმავე მდგომარეობაში მყოფი, ბატონი თამაზის წყალობით არა მხოლოდ თავს ვგრძნობ ჯანმრთელად, არამედ შემიძლია სხეისი დახმარებაც.

რომან მიმინოშვილი:
სამწუხაროა, რომ ნოდარ ახალკაცი სახელმწიფოს უცხადებს ომს

პოლიტიკური შეფასება უნდა მიეცეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ქმედებას, რადგან ფედერაციის ხელმძღვანელმა ნოდარ ახალკაცმა იგნორირება გაუკეთა პარლამენტარების არაერთ თხოვნას – გამოცხადებულიყვნენ პარლამენტში, – თქვა პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის დღეევანდელ სხდომაზე, რომელზეც ქართული ფეხბურთის პრობლემები განიხილებოდა.

რომან მიმინოშვილის თქმით, კომიტეტის დღეევანდელ სხდომაზე მოხსენებით უნდა გამოსულიყო ნოდარ ახალკაცი, მაგრამ გამოუცხადებლობის გარდა, მან ფედერაციის რეგიონების წარმომადგენლებსაც იგივე შესთავაზა – არ გამოცხადებულიყვნენ სხდომაზე. მიმინოშვილის თქმით, ის, რაც დღეს მოხდა, ანუ ახალკაცის მხრიდან ბოიკოტის ორგანიზება – სახელმწიფოსაგან განდგომის ტოლფასია. მისი თქმით, დღეს ფედერაციამ თავის თავს გამოუტანა განაჩენი.

დაუყოვნებლივ უნდა დადგეს საკითხი ახალკაცის უფლებამოსილების შეჩერებისა და რიგგარეშე ყრილობის ჩატარების თაობაზე, – თქვა მიმინოშვილმა.

საქართველოს ქალთა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვაჟა ჟვანიამ სხდომაზე წარმოადგინა ახალკაცის მიერ 1992 წლიდან დღემდე ჩადენილი დანაშაულებრივ ქმედებათა დამადასტურებელი დოკუმენტების ქსეროასლები და თქვა, რომ აუცილებელია პარლამენტის ანტიკორუფციულმა დროებითმა კომისიამ განიხილოს და შეამოწმოს ახალკაცის ქმედება აღნიშნული დროის პერიოდში.

სხდომაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს მოქალაქეთა ახალგაზრდული კავშირის თავმჯდომარე ლევან ალაიძე, რომელმაც თქვა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია კორუფციის სერიოზული წყარო გახდა. მისი თქმით, შეინიშნება კლანური მომენტები, რომლებიც პირადი მიზნებით იყენებენ ფეხბურთელების სხვადასხვა საზღვარგარეთულ კლუბებში გაყიდვის ტრანსფერებს. მისივე თქმით, სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას ქვეყანაში კლანებისა და კორუფციის მართვა. საკითხი გლობალურად არის შესასწავლი, რაც, მისი აზრით, პარლამენტის ანტიკორუფციული კომისიის შესასწავლია.

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის კახი ასათიანის თქმით, ფედერაციის წარმომადგენლების თავხედობას საზღვარი არა აქვს. მისივე თქმით, დეპარტამენტი შეაჩერებს ფედერაციის ხელმძღვანელების უფლებამოსილებებს და მოწვეული იქნება რიგგარეშე საგანგებო ყრილობა, რომელზეც ფედერაციის ახალ ხელმძღვანელს აირჩევენ.

მიმინოშვილმა თქვა, რომ კონტროლის პალატამ და საგადასახადო ინსპექციამ უნდა ჩაატარონ ფედერაციის ფინანსური შემოწმება, აუცილებელია ფეხბურთელთა ტრანსფერების საკითხის გადასინჯვა და გლობალურად შესასწავლია მთელი საფეხბურთო სისტემა. მისივე თქმით, ფედერაციის მუშაობა არ შეჩერდება, ხოლო საკითხს იმის შესახებ, თუ ვინ უხელმძღვანელებს ფედერაციას რიგგარეშე ყრილობამდე, ამის შესახებ საჭიროა იუსტიციის სამინისტროსა და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ერთობლივი მუშაობა.

სხდომაზე განხილულ საკითხებთან დაკავშირებით პრაიმ-ნიუსი დაუკავშირდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელს ნოდარ ახალკაცს, რომელმაც თავი აარიდა ყველა შეკითხვას, იმ მიზეზით, რომ სხდომას არ ესწრებოდა, ხოლო თუ რა მიზეზით არ დაესწრო იგი სხდომას, ახალკაცმა არანაირი განმარტება არ მოგვცა. (პრაიმ-ნიუსი)

თამაზ თავაძე:
თუ ეს მეთოდი გავრცელდა, კაცობრიობა აღარ იქნება ავად

– ბატონო თამაზ, აქ ჩვენ მოვისმინეთ უპრეცედენტო შემთხვევები კიბოთი დაავადებულთა მორჩენისა, რა ხდება, რა მეთოდით მკურნალობთ, რით არჩენთ ამ დაავადებას?

– მარტო კიბო არ წარმოადგენს სნეულებათა იმ ნუსხას, რომლებიც იკურნება ჩვენს საზოგადოებაში. ჩვენ ემუშაობთ ადამიანის ჯანმრთელობის აღდგენაზე და ნაკლებად გვაინტერესებს სნეულების დასახელება, აქ იკურნება ფაქტიურად ყველა დაავადება, იმ შემთხვევაში, როცა პაციენტი თვითონ თაიის მხრივ გამოიჩენს ნებისყოფას, ეს არის იოგა მეთოდით მკურნალობა, ფრიად უჩვეულო იოგა მეთოდებით და ამიტომაც სნეულების დასახელებას პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს. უბრალოდ, ჩვენთან მოდიან ძირითადად ის ადამიანები, რომლებმაც გაიარეს სამედიცინო სფერო. არასდროს არ ეღებულობ ადამიანს, რომელიც ექვემდებარება სამედიცინო მკურნალობას, მას ეაგზავნი სამედიცინო დაწესებულებაში. ვიღებთ მხოლოდ უიმედო ადამიანებს, რომლებზეც უარი თქვა ოფიციალურმა მედიცინამ, ასეთ პაციენტებთან ვმუშაობთ ჩვენ. ამის დასტურია თუნდაც ის, რაც თქვენ მოისმინეთ.

– ბატონო თამაზ, ხომ არ არის აქ რწმენის მომენტი და თუ არის, რამდენად, პირველადია რწმენა თუ რწმენა მოდის მას შემდეგ, რაც ჯანმრთელობა იწყებს აღდგენას?

– არის მკურნალობის ის შემთხვევები, სადაც უმთავრესი არის რწმენა, რწმენა ყველაზე დიდი სასწაულთმოქმედია, მაგრამ ის, რომ ორგანული ცვლილებები, რაც ადამიანშია, განიკურნება განსაკუთრებული მოქმედებების შედეგად, გარკვეული ენერგეტიკული ზემოქმედებით, ეს უდავოა და ფაქტია. რწმენა ეხმარება ადამიანს იმაში, რომ მან შეასრულოს მითითებული საჭირო ვარჯიშები, რწმენის მომენტი აქ მხოლოდ ამისთვისაა საჭირო. რწმენა თავისთავად, მითუმეტეს ონკოლოგიურ შემთხვევებში ვარჯიშების გარეშე, სუნთქვის გარეშე, სისხლძარღვთა სისტემის მართვის გარეშე და კიდევ სხვა ათასი მომენტების გარეშე, უძლურია.

გაგრძელება №3-7 გვ.

თ.ნადარეიშვილს უკანონოდ მიაჩნია აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში დსთ-ს სამშვიდობო ძალების ყოფნა

აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს თ.ნადარეიშვილს უკანონოდ მიაჩნია აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში დსთ-ს სამშვიდობო ძალების 1998 წლის 31 იანვრამდე ყოფნა, იმდენად, რამდენადაც, მისივე თქმით, დსთ-ს მეთაურთა კიშინიოვის სამიტზე მანდატის გაგრძელებასთან დაკავშირებით ოფიციალური დოკუმენტი არ არსებობს.

როგორც თ.ნადარეიშვილმა „იფრინდა“-ს განუცხადა, რუსი „ცისფერჩაფხუტიანების“ კონფლიქტის ზონიდან გაყვანა პრობლემა არ არის. მთავარია ამისათვის ქართული მხარე იყოს მზად. მისი თქმით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ქვეყნის ხელისუფლებაში მიმდინარეობს კონფიდენციალური კონსულტაციები და შესაბამისი სამუშაოები. გამომდინარე აქედან, თ.ნადარეიშვილს მიზანშეუწონლად მიაჩნია აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილთა მეორე ყრილობის 10 ნოემბერს ჩატარება. მისივე თქმით, იგი ყრილობაში მონაწილეობას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს, თუ ყრილობა აფხაზეთის საკითხს განიხილავს და არა ხელისუფლების გადადგომას მოითხოვს. (იფრინდა)

იყო თუ არა დიმიტრი ჯაში ილიას მკვლელი?

მეოთხე გვერდიდან



გადაწყვეტილება ქალაქის თავებმა, რომ ტყე აეჩეხათ, მოესპოთ, ეს ხომ უგუნურობაა!

– მართალი ხარ, ტყის გაჩეხვა უგუნურობაა, მაგრამ ქალაქის თავებმა მაინც გააკეთეს, აქაოდა ტყეში ქურდ-ყაჩაღები აფარებენ თავს, ღამით კი ვაჭრებს ძარცვავენო... თანაც მეფის ნაცვალმა თანხმობა მისცა ტყის გაკაფვისა...

– მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია, საჭიროა ტყე აღდგეს, რომელიც სიკეთის მომტანია.

– მართალი ხარ, უნდა აღდგეს, მაგრამ მას თითქმის ასი წლის დამქანცველი მუშაობა დასჭირდება. საჭიროა ამ კეთილშობილურ საქმეს ქალაქის თავებმა მეტი ყურადღება მიაქციონ.

ილიასთან დროდადრო მოდიოდა სტუმრად მეზობელი სოფლიდან ილია წინამძღვრიშვილი. ერთხელაც დიდი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილიც ეწვია. როგორც ი.წინამძღვრიშვილთან, ისე ი.გოგებაშვილთან ი.ჭავჭავაძის საუბრის თემა ჩვენი ახალგაზრდების სწავლა-აღზრდას ეხებოდა.

ი.ჭავჭავაძესთან განსაკუთრებით დაახლოებული იყო ცნობილი გერმანელი მწერალი არტურ ლაისტი, რომელსაც ქართული ენა მართალია, ესმოდა, მაგრამ ზოგიერთ სიტყვებს ამახინჯებდა და ილიასთან ძირითადად რუსულად საუბრობდა.

ლაისტი დიდხანს რჩებოდა საგურამოში და ილიასაც მასთან ყოფნა ახარებდა. როცა გერმანელი მწერალი თავის ენაზე თარგმნიდა ქართველი მწერლების ნაწარმოებებს, ის მაშინვე უთანხმებდა ილიას და ისიც დაუზარელად ეხმარებოდა.

ერთ დღეს, როცა ილიასთან სტუმრად იყვნენ სხვადასხვა პირები: არ.ლაისტი, ზ.ჭავჭავაძე, ნათესავი თავადი ციციშვილი და სხვები, მე და დიმიტრიც მათ საუბარს ვესწრებოდით. საუბრის თემა ძირითადად, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუშაობას ეხებოდა.

– ამ საზოგადოებამ უდაოდ დიდი მუშაობა აწარმოვა ქართველი ხალხის განათლებისა და გათვითცნობიერების საქმეში და მჯერა, რომ მუშაობას არ შეანელებს: – თქვა ზაალმა და ილიას შეხედა, რას იტყვისო.

– მართალი ხარ, ჩემო ზაალ, – უპასუხა ილიამ, – საზოგადოებამ უფრო მეტი უნდა იმუშაოს, რაც დღეს მოვიპოვეთ, ის ხალისთვის საკმარისი არ არის. ამასთან ერთად ქართველი ერის წელში გამართვისათვის საჭიროა აღრე თუ გვიან გამოგვიჩნდეს „პეტრე დიდი“ თუ არა, „პეტრე მცირე“ მაინც, რომ ქვეყანა განვითარდეს. ის ხალხია საცოდაი, რომელსაც მწიგნობრობა, ხელოვნება სუსტი აქვს. უცოდინარი, ბნელი ადამიანი დაბალი სულის მატარებელია და მის გულში ადვილად იბუდებს ბოროტება. ჩვენი მეორე მტერი სიღატაკეა. როცა მარჯვენათი სიღატაკეს შეეებრძოლებით და მარცხენათი უცოდინრობას, უთუოდ გაიმარჯვებთ და ჩვენი ერიც საუკუნებრივი გაჭირვებიდან გამოვა. ილიამ ღრმად ამოისუნთქა და შემდეგ დაუმატა: აი, სიღატაკის შესახებ რა კარგად ამბობდა გოეთე: კანონი ძლიერია, მაგრამ გაჭირვება მასზე უფრო უძლეველია.

გოეთეს გახსენება ლაისტს ესიამოვნა, გაიღიმა და აღტაცებულმა განაცხადა: ჰო, ჩვენი გოეთე, დიდებული გერმანელი, უნივერსალური ადამიანი! ამ სიტყვის თქმის დროს მან ჭიქა ასწია და დაუმატა: მოდი, ამ სასმისით ვადღეგრძელოთ ის დიდი ადამიანები, რომლებმაც კაცობრიობის ბედნიერი მომავლისათვის უხვად დაგვიტოვეს ბრძნული აზრები და დღეს მათი თვლილი გზით კულტურა, მეცნიერება, ტექნიკა ჩქარა ნაბიჯით მიდის წინ!

ილიას გაეღიმა და ლაისტის საპასუხოდ თქვა: – ბატონო არტურ, თქვენებური იყო ლეიბნიციც, რომელმაც ასე მოხდენილად თქვა: „აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავალისა“. აბა როგორ გამოითქმება ეს სიტყვები გერმანულად?

ლაისტმა მაშინვე ლეიბნიცის სიტყვები გერმანულად თქვა და მცირე პაუზის შემდეგ ქართულად რომ გაიმეორა, სიტყვა „აწმყო“ დაამახინჯა და მის გამოთქმაში ილია მიეშველა. – რა მაგ სიტყვის პასუხია, ილია გრიგოლის ძეე, მაგრამ მე მაინტერესებს სხვა საკითხზეც მიპასუხოთ, – უთხრა ილიას ქვისლის შვილმა ტიტე სტაროსელსკიმ და სხვებმაც ყურადღება გაამახვილეს. – თქვი, რა გინდა ტიტიკო, მე გისმენ! – უთხრა ილიამ. – ილია გრიგოლის ძეე, თქვენი აზრით, ვინ მიგაჩნიათ ახალგაზრდა ქართველი პოლიტიკური მოღვაწეებიდან კარგ ორატორად?

ილია ჩაფიქრდა, მაგრამ საპასუხო არ დაუყოვნებია: – აკაკი წერეთელი, რომელსაც ჯიბიდან სიტყვების ამოღება არ დასჭირდება, სწრაფი და მოქნილი აზროვნების უნარი აქვს. თუმცა კი მის ყველა ნააზრევს როდი ვეთანხმები...

– თქვენზედ რომ არაფერი ეთქვათ, ქართველ პოეტებში ვის აძლევთ უპირატესობას?

– პოეტობის გვირგვინი აკაკის ეკუთვნის, ნიჭიერია ჩვენი ვაჟაც, მაგრამ მისი კუთხური კილო ზოგიერთებს არ მოსწონთ. ვიტყოდი იმასაც, ნიკოლოზ ბარათაშვილი ბაირონს აჯობებდა, რომ მეტი დასცლოდა, ახალგაზრდა არ გარდაცვლილიყო და დიდი ერის შვილი ყოფილიყო.

ილიას სტუმრები შეზარხოშდნენ და ჯერ ღიღინით და შემდეგ ხმამაღლა წამოიწყეს რუსულ ენაზე „ალავერდი“. მასპინძელი გაჩუმებული უსმენდა მათ და საერთოდ, საგურამოში ჩემი ყოფნის დროს არასოდეს გამიგონია ილიას ღიღინი ან სიმღერა. შესაძლებელია ეს მისი ასაკობრივი მდგომარეობით ანდა არასახარბიელო ჯანმრთელობის პირობებით იყო გამოწვეული.

ილია ჭავჭავაძე ყოველთვის თვალს არიდებდა შინაური ცხოველისა და ფრინველის დაკვლას და იტყოდა ხოლმე: – ღმერთმა ყოველი სულდგმული სიცოცხლის უფლებით აკურთხა და უსამართლობა იქნება, რომ ჩვენ ის წავართვათ, მაგრამ ზოგი იტყვის, აქ რა სამართალზეა ლაპარაკი, როცა კუჭი უნდა გამოვიძღოთო... აბა რა სამართალია, ოჯახში გაზრდილი ძროხა, რომლის რძით გამოვზარდეთ შვილები, დამსახურებისათვის ყასაბს მივუყვანოთ დასაკლავად?!

ილია დიდი ჰუმანისტი იყო, ეცოდებოდა ღარიბ-ღატაკები და როგორც კი შეეძლო, ეხმარებოდა.

ერთ დღეს ილიასთან მეზობელი სოფლიდან მოვიდა ერთი ქვრივი ქალი და მოიყვანა ხუთი წლის ბიჭი, გამხდარი და გაყვითლებული:

– ბატონო ილია, არც ხატმა მიშველა, არც ღმერთთან ვედრებამ, ეს ბიჭი მელუპება და შენ უნდა მიშველო, დამეხმარო...

– კარგი, კარგი, მოკლედ მითხარი, რა სენი აქვს ბიჭს? – ჰკითხა ილიამ.

– მცხეთაში ვიყავი ფერშალთან და მითხრა, აქა ყოველთვის მშვიდობა იყოს, ბიჭს „ჩიხოტკა“ გასჩენიაო.

– მერე და, წაიყვანეთ თბილისში ექიმთან, წამლებს მისცემენ, დაარიგებენ, შემდეგ თიანეთში ან ფშავში წაიყვანეთ, რძე ასვით...

– რითი შენი ჭირიმე, აბა რითი, როცა აბაზიანიც არ გამაჩნია?!

– აი, ახლა 30 მანეთს მოგცემ და მოურავს დავავალებ, რომ სურსათითაც დაგეხმაროს...

ილიამ მაშინვე საფულე გახსნა და ქვრივს ფული გაუწოდა. გახარებული ქალი ილიას ფეხებში ჩაუვარდა – ეს რა საჭიროა? – გაუჯავრდა ილია, ახლა დროს ნუ დაკარგავ, ყმაწვილს მიხედე, ამას კარგი კეება უნდა...

ილიას დავალებით დიმიტრიმ ქვრივს მაშინვე გამოუტანა ერბო თუ კარაქი, 30 ცალი კვერცხი, სამ ლიტრამდე თაფლი, ათი შოთი პური, კალათაში ჩაუწყო და ისე გაუწოდა.

ილიას ბრძანებითვე მისმა მეეტლე თედომ სასწრაფოდ ცხენები ეტლში შეაბა, რომ ქვრივი და ავადმყოფი ბიჭი მცხეთის რკინიგზის სადგურზე მიეყვანა, იქიდან კი ისინი მატარებლით თბილისში გაემგზავრებოდნენ.

ილიას მეუღლე, ქალბატონი ოლღა მაღალი კულტურის ადამიანი იყო. მშობლიური ენის გარდა კარგად ფლობდა რუსულსა და ფრანგულ ენებს. იყო მეტად გულკეთილი, მზრუნველობდა გაჭირვებულ გლეხებს. მას უყვარდა ბანქოს თამაში და მე არა ერთხელ მითამაშია მასთან, იგი წაგებასა და მოგებას ერთნაირი რეაქციით ხვდებოდა.

ქალბატონ ოლღას დროდადრო უყვარდა ბანქოს გაშლა და თითქოს მის გაშლაში ეძებდა მომავლის ბედისწერას.

ერთხელ ოლღამ მითხრა, რომ ილიას უცნაური ჩვევა აქვს ოქროს ფულის მიმართო, მაგიდაზე როცა კი დაინახავს, გაჰკრავს ხელს და გადააგდებს. ამას იმით ხსნის, რომ ოქრო მაცდური ლითონია, მას შეუძლიან კეთილ ადამიანში ბოროტება დათესოს და სამშობლოს მოღალატეც კი გახადოს. ამის საბუთად ისტორიულ ცნობებს იშველიებს, სპარსეთის შაჰი თუ როგორ იმორჩილებდა ოქროს ფულით ქართველ მოღალატეებს...

ერთხელ ილიას სახლს მოადგა მოხუცი კაცი, ხელში სახრე ეჭირა და მოურავი იკითხა. როცა მასთან დიმიტრი მიეიდა და ჰკითხა, რა გნებავსო, მან უპასუხა, კნიაზი მინდა ენახო და ეთხოვო, რომ ჩემი შვილი ტყეშია გავარდნილი აქ ადრე მომუშავე მოურავის მკვლელობის გამო და მინდა ილიამ მიშუამდგომლოს, თავდები გამიკეთოს, რომ შვილი დამიბრუნდეს, ღამის გათევა შინ შეეძლოსო.

მისი ნათქვამი მესამე სართულის აივანზე მდგომმა ილიამ გაიგონა და იქიდან დიმიტრის გადასძახა: დიმიტრი, მაგ მოხუცს გადაეცი, რომ ჭავჭავაძე კაცის მკვლელსა და ავაზაკს თავდებში არ დაუდგება და ტყვილად ნუ ირჯება.

ილიას ნათქვამი გაიგონა მოხუცმა, მაშინვე შებრუნდა, შეიგინა და მუქარით გაცილდა იქაურობას.

ილიას თავის მეურნეობაში ხბორების მომვლელად ჰყავდა საგურამოელი ახალგაზრდა გრიგოლ მოძღვრიშვილი, რომელიც თავის მოვალეობას ყოველთვის კეთილსინდისიერად ასრულებდა და თავისუფალ დროს სხვებსაც ეხმარებოდა. ილიამ პატიოსანი სამსახურისათვის მოძღვრიშვილი დაასაჩუქრა ორი დესეტინა მიწით და 200 მანეთი ფულით, რითაც უღარიბესი გლეხი წელში გაიმართა: ააშენა სახლი, იყიდა ძროხა და ხარები. სამწუხაროდ, მან სიკეთე დიდ ილიას მალე სიავეკაცით გადაუხადა, ინაშვილმა მუქარით ჩაითრია თავის ჯგუფში და განაწყო თავისი კეთილი მზრუნველის მოწინააღმდეგ. ამ მოჯამაგირეები ბოლო-ბოლოს ერთ-ერთ ბნელ ღამეს ... აბა რა კაცია გრიგოლი, როცა ილიას სიკეთე სიავკაცობით გადაუხადაო.

ინაშვილ-ბერბიჭაშვილის ყაჩაღური ჯგუფი მოსვენებას არ აძლევდა ილიას: უკაფავდნენ ტყეს, უნგრევდნენ ეზო-ბაღის ღობეებს და იტაცებდნენ პირუტყვს, მუქარის წერილების გზავნა კიდევ გრძელდებოდა. ილიას განსაკუთრებით გული ატკინეს იმით, რომ მხეცურად მოუკლეს ინგლისური ჯიშის ლამაზი და თვინიერი ჯორი და საუკეთესო ჯიშის ძროხა, რომელიც დღეში თითქმის ოც ლიტრამდე რძეს იწველიდა. ამასთან ერთად მას აღელვებდა ისიც, რომ ხშირად საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან უსიამოვნო ამბები ესმოდა. მართალია, ცდილობდა წონასწორობა არ დაეკარგა, მაგრამ გულჩათხრობილი იყო. იგი ხშირად უჩიოდა თავის ტკივილს, გულის აჩქარებულ ცემას, ჰაერის უკმარისობას გრძნობდა და მარტო ეზოს აღმართზე ასვლა კი არა, თავისი შენობის მესამე სართულზე, საძინებელ ოთახში, მისვლაც უჭირდა, ქოშინი უვლიდა.

27 აგვისტოს, როცა ილია მეუღლესთან და არ.ლაისტთან ერთად თბილისში უნდა გამგზავრებულიყო თავისივე ეტლით, ილიასთან მივიდა დიმიტრი და მორიდებულად უთხრა: ბატონო ილია, საჭირო იქნება, რომ გაგაცილონ ჩვენმა სამმა სტრაჟნიკმა, ისინი უკვე მზად არიანო. ილიამ შორიახლოს შენიშნა ცხენებზე ამხედრებული სტრაჟნიკები. მათ დანახვაზე სახე მოღრუბლა და მოურავს, ცოტა არ იყოს, მკაცრი ტონით უთხრა: ილია ჭავჭავაძე! თავის სამშობლოში ვაცილების დროს მცველები არ ესაჭიროება და შენ ვინ დაგავალა, რომ ეგენი გაგიფრთხილებია. მერე მიუბრუნდა მეეტლეს და უბრძანა, გარეკე, თედო, ცხენები, ნუღარ დაავაგვიანებთო.

29 აგვისტოს ილიას ერთგული მსახური (ლაქია) იაკობ თარაშვილი დაბრუნდა საგურამოში და მოსამსახურე პერსონალს გააგებინა, ხვალ ბატონი ილია აქ მობრძანდებაო. მერე უბის ჯიბიდან პატარა ბარათი ამოიღო და დიმიტრის გაუწოდა. ილია იწერებოდა, რომ მას მცხეთაში, რკინიგზის სადგურზე გაუელია და იქ მისთვის უთქვამთ, თქვენთვის ორმოცი ცალი ღვინის კასრია მოსული და გამოისყიდეთო.

30 აგვისტოს დიმიტრი დილიდანვე მოემზადა მცხეთაში გასამგზავრებლად იმ ვარაუდით, რომ იქიდან დაბრუნებული ილიას შეხვდებოდა წიწამურში.

დიმიტრიმ და სტრაჟნიკებმა დაიწყეს ცხენების შეკაზმვა. ერთი ცხენი მეტად ფეთიანი გამოდგა, ახლოს არ გაიკარა უნაგირი, მას რამდენჯერმე ესროლეს მარყუჟიანი თოკი, მაგრამ იმითაც ვერ დაიმორჩილეს. ამასობაში დრო გავიდა და გულმოსული დიმიტრი აღარ დაელოდა მესამე სტრაჟნიკს და ორი კაცი გაიყოლია. ისინი ერთი თუ ორი კილომეტრით დაცილდნენ სახლს, როცა მათ ყარაბაულ ცხენზე ამხედრებული მესამე სტრაჟნიკიც დაეწიათ, რომელსაც დაემორჩილებინა ავზნიანი ცხენი.

დიმიტრი თავის მხლებელი სტრაჟნიკებით გვიან მივიდა წიწამურში – ნაძირალებს მოეკლათ ილია და იაკობი, ხოლო გრძნობადაკარგული ოლღა მიწაზე ეგდო და ძლივს მოაბრუნეს.

ჩანერა
შალვა მარკოზაშვილმა
ფილოლოგიის
მეცნიერებათა კანდიდატმა
ს.საბურამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს სხდომა

გუშინ გამართულ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მორიგ გაფართოებულ სხდომაზე, რომელსაც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ზურაბ ერქვანია უძღვებოდა, აფხაზეთის ფინანსთა მინისტრმა, ბესარიონ ნაყოფიამ მიმდინარე წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულების შესახებ გააკეთა ინფორმაცია.

მინისტრმა აგრეთვე აღნიშნა, რომ მოსავალი წლიდან არც მატერიალური შემწეობების თანხები, არც ჰუმანიტარული დახმარება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული.

ამასთან დაკავშირებით სხდომაზე ითქვა, რომ სამომავლოდ აფხაზეთის რესპუბლიკის ყველა სამინისტრომ უნდა იზრუნოს საკუთარ შემოსავლებზე, რაც ნაწილობრივ გადაწყვეტს დეფიცილების დასაქმების პრობლემას და ისინი არ იქნებიან დამოკიდებულები მხოლოდ ბიუჯეტზე.

სხდომის მონაწილეებმა მოისმინეს საზოგადოება „საქართველო-იტალია“-ს პრეზიდენტის, ვახტანგ ესვანჯიას ინფორმაცია აფხაზეთიდან დევნილი ბავშვების იტალიაში დასასვენებლად და სარეაბილიტაციოდ მიწვევის შედეგების შესახებ. აღინიშნა, რომ ოთხი წლის განმავლობაში იტალიელების ოჯახებში დაისვენა 541 ბავშვმა, რომელთა მეტი წილი ობლები და კონფლიქტის დროს დაღუპულთა შვილები არიან. (ბეა)

შეხვედრა გაიმართა

ოთხშაბათს სამუშაო შეხვედრა, რომელიც გუშინ გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში უნდა გამართულიყო, გადაიდო. როგორც გეა-ს კორესპონდენტისთვის გახდა ცნობილი, შეხვედრისას გადადგება აფხაზურმა მხარემ ითხოვა იმ მიზეზით, რომ სოხუმში კრძალავდნენ აფხაზეთის შეიარაღებული ძალების სარდლის მოადგილეს, სმირს.

ზოგიერთი მონაცემით ეს პიროვნება რამდენიმე დღის წინ დაიღუპა კოდორის ხეობაში ქართველ პარტიზანებთან შეტაკებისას, თუმცა საქართველოს უშიშროების სამსახურები საერთოდ უარყოფენ ამ შეტაკების ფაქტს. მეორე ვერსიით სმირი რამდენიმე დღის წინ აფეთქდა ნაღმზე გალის რაიონში.

ჯერჯერობით ქართული მხარისათვის ზუსტი ინფორმაცია უცნობია. (ბეა)

ცხინვალი მოსკოვს სინათლეს თხოვს

როგორც გეა-ს კორესპონდენტს ცხინვალიდან აცნობეს, ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი, ლუდვიგ ჩიბიროვი მოსკოვს გაემგზავრა. როგორც ამბობენ ცხინვალისათვის რუსეთის მხრიდან ელექტროენერგიის მიწოდების საკითხის მოსაგვარებლად.

თუმცა, ვიზიტის მსვლელობისას ჩიბიროვს დაგეგმილი აქვს ასევე შეხვედრები დსთ-ის ქვეყნებთან ურთიერთობის მინისტრის მოადგილესთან, ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარესთან, ეგენი მატიუშოვთან და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან, ბორის პასტუხოვთან. (ბეა)

თამაზ თავაძე:
თუ ეს მეთოდი გავრცელდა, კაცობრიობა აღარ იქნება ავად

მეხუთე გვერდიდან

რწმენა საჭიროა, რათა ადამიანმა ირწმუნოს და შეასრულოს მისთვის აუცილებელი ვარჯიშები.

– ბატონო თამაზ, როგორც გაიგეთ, ეს ავადმყოფები არიან ონკოლოგიურ აღრიცხვაზე მყოფნი, მკურნალობდნენ ონკოლოგიურ საავადმყოფოში და ამდენად, ექიმებისთვის ცნობილია მათი პაციენტების შემდგომი ბედი, როგორია რეაქცია მათი მხრიდან, თუ ეს რეაქცია დუმილია, რაც ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ დაბაშაულის ტოლფასია?

– ექიმებში მე მყავს უამრავი თანამდგომი, ესენი არიან თუნდაც ჩემს მიერ განკურნებული ექიმები, ისინი გვერდში მიდგანან უბრალოდ მე დღეს. რადგანაც აქ არ არიან, არ დავასახელებ მათ ვინაობას, მაგრამ ისინი ვერ გაარღვევენ ყრუ კედელს, რადგან დღეს სამედიცინო სივრცეში შექმნილია მართლაც დიდი ქაოსი და აუიოტაჟი უამრავი არატრადიციული სამკურნალო მეთოდის ირგვლივ, ადგილი აქვს უამრავ სპეკულაციას, ამიტომაც ეს შესაძლებელია, ერთ-ერთ სპეკულაციად აღიქმებოდეს და ამიტომაც ჩვენ ამ მხრივ ყურადღებას ვერ ვიქცევთ, მაგრამ ის ფაქტობრივი მასალა, რომელიც ადასტურებს ამ მეთოდისა და მკურნალობის ძლევამოსილებას, გვაძლევს უფლებას გამოვიყენოთ და დავიცვათ იგი. ჩვენ გვაქვს ობიექტური საფუძვლები იმისა, რომ შევთავაზოთ ერსაც და კაცობრიობასაც ჩვენი სამკურნალო იოგური მეთოდიკა. ეს არის თხუთმეტი წლის აპრობირებული პირადად ჩემს მიერ. ხუთი წლია შეიქმნა ჩვენი საზოგადება, ხუთი წლის მანძილზე აქ მოდიან ადამიანები და იკურნებიან ყოველგვარი სნეულებისაგან. იკურნებიან ისინი, ვინც საკუთარი ნებისყოფით, ცნობიერად დაგეხმარა მათთვის საჭირო ვარჯიშების შესრულებით სამკურნალო პროცესში.

– ე.ი. გარკვეული წილი განკურნებისა მოდის პაციენტზე. განსხვავებით ოფიციალური სამკურნალო პროცესისაგან, სადაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს წამალს და თვითონ პაციენტის როლი იქ პასიურია და ნაკლებმნიშვნელოვანი.

– მედიცინის ძალა ზუსტად ის არის, რომ იგი პაციენტის გარეშე აკეთებს ყველაფერს, მისთვის სასარგებლოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ არის საკმარისი. არსებობს მკურნალობის სამი მეთოდი. პირველი: კლასიკური პრინციპი: პაციენტი წვება, ექიმი აკეთებს ყველაფერს და კურნავს მას, მეორე: ფსიქოლოგი, ფსიქიატრი შედის კონტაქტში ავადმყოფთან და მასთან ერთად აკეთებს ფსიქოანალიზს, რათა განმუხტოს სიტუაცია, გამოიყვანოს ჩიხში შესული ფსიქიკა და განკურნოს ავადმყოფი და მესამე მეთოდი – ეს არის პირწმინდა იოგური მეთოდი, როდესაც ნიშანდობლივია არა მხოლოდ ის, რომ მკურნალი და ავადმყოფი ერთად იბრძვიან სნეულების წინააღმდეგ, არამედ მეტიც, აქ უმეტეს შემთხვევაში პაციენტს ეძლევა მხოლოდ ცოდნა და ის თვითონ ხდება საკუთარი თავის მკურნალი – ეს არის იოგური მეთოდი.

– ბატონო თამაზ, ყოველ ავადმყოფობას აქვს მიზეზი. ვთქვათ განიკურნა ვარჯიშებით ავადმყოფი, მაგრამ დარჩა მიზეზი, ხომ არ არის შესაძლებელი, რომ გარკვეული დროის შემდეგ ისევ იმავე სნეულებით დაავადდეს იგი?

– ჩვენს შემთხვევაში ეს არ ხდება, ეს ხდება კლასიკური მედიცინით მკურნალობის შემთხვევაში. მიზეზ-შედეგობრივი კანონის თანახმად, მედიცინა მუშაობს მიზეზთან კი არა, არამედ შედეგთან, ამიტომ განკურნება ხდება სნეულებისაგან, მაგრამ მიზეზი რჩება და ამიტომაც პერიოდულად ხდება ავადმყოფობის განმეორება და რეციდივები. რატომ? იმიტომ, რომ მიზეზი დარჩა პაციენტში, სნეულება კი განიკურნა, მაგრამ მიზეზი ისევ გამოიწვევს იმ სნეულებას. იოგა მეთოდით მკურნალობისას კი პირიქით, ჩვენ ვმუშაობთ იმ მიზეზთან, რომლის შედეგიც ჩანს, როგორც დიაგნოზი, ჩვენ არ ვმუშაობთ დიაგნოზთან, ჩვენ ვმუშაობთ მიზეზთან და დიაგნოზთან ერთობლივად და ამიტომ ჩვენგან განკურნებული ავადმყოფი არავითარ შემთხვევაში რეციდივებს აღარ ექვემდებარება, არის მთლიანად დაცული სნეულებისგან.

– ხანგრძლივობა ვარჯიშებისა, დროის რა მონაკვეთია ამისთვის საჭირო?

– ხანგრძლივობა ვარჯიშებისა – ეს არის ის ტრადიციული კითხვა, რომელსაც მისვამს ყოველი ჩვენთან მოსული პაციენტი, ჩვენ ეპასუხობთ: იოგა არის კულტურული ფენომენიც და ისევე, როგორც ადამიანი სწავლობს ხელების დაბანას და სამუდამო ჰიგიენას და სამუდამოდ ანუ კულტურული ფენომენი შემოდის ჩვენს ცხოვრებაში და ჩვენ არ ეკითხულობთ რამდენი ხნით, ასევე იოგა-ვარჯიშები ჯანმრთელობისათვის კულტურული ფენომენია – სამუდამოდ.

– საერთოდ რა არის ავადმყოფობა, საიდან იღებს ის სათავეს, თუ რელიგიას დაეუჯერებთ, სნეულება ეს არის სასჯელი ცოდეის გამო. თუ ვერწმუნებით მედიცინას, ეს არის არასწორი რეჟიმის, ვიტამინების ნაკლებობის და სხვა ამდაგვარი არასწორი ცხოვრების შედეგი, თქვენ რას იტყოდით?

– მე ვიტყოდი, რომ რელიგიის მიერ განმარტებული სნეულების მიზეზი არის აბსოლუტური ჭეშმარიტება. ეს ასეა, მაგრამ არავითარ საწინააღმდეგოს არ ამბობს მედიცინა, ოღონდ არ არის ბოლომდე გაგებული, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს ცოდვად. დიახ, საკუთარი თავის სწორი რეჟიმის დარღვევა ცოდვაა, ზედმეტი ჭამა, სმა მოწევა, ეს ხომ ცოდვაა და აუცილებლად ამ შემთხვევაში გაჩნდება სნეულება, მითუმეტეს, თუკი ცოდვა გადადის ზნეობრივ კატეგორიებში და ზნეობრივად არასწორად წარმართული ცხოვრება უდავოდ გამოიწვევს რომელიმე მძიმე სნეულებას ფიზიკურ გეგმილზე და ჩნდება სამედიცინო ტერმინით დაავადება, რელიგია კი ამას არქმევს ერთ სიტყვას, რაც თავია და თავი ყოველგვარი სნეულებისა – ცოდვა.

– ბატონო თამაზ, სნეულება ეს ხომ ერთგვარად ბედისწერაა, ხდება ბედისწერაში ჩარევა და მისი შეცვლა?

– ბედისწერა ჩვენს მიერ არასწორად არის გაგებული, ჩვენ ღვთისაგან დალოცვილი გვაქვს ყოველი ბედნიერება, სიკეთე, ჯანმრთელობა, მაგრამ რადგან ჩვენ ჩავდიოვართ ყველაზე დიდ ცოდვას ანუ ვართ უმეცარნი საკუთარი შინაგანი შესაძლებლობების მიმართ, ამიტომაც არის, რომ ბედისწერად გადაიქცა ტანჯვა, სნეულებანი და სიბერე, მაგრამ შეჰქმნა ღმერთმა ადამიანი უხრწნელად, თავის ხატად და მსგავსად, წერია სოლომონ ბრძენის წიგნში (თავი II 23-ე ლექსი) 24-ეში წერია: და გაჩნდა სიკვდილი მოშურნეობით, ეშმაკის მოშურნეობით და ყოველი მისდამი ლტოლვილნი ექვემდებარებიან მას, ამიტომ ცუდ ბედისწერას მოშურნეობით ქმნის ადამიანი. რამეთუ სატანისკენ მისწრაფვის, მაგრამ ყოველი არსება, რომელიც მოძმის სიხარულით ხარობს საკუთარ ბედისწერას, სოლომონ ბრძენის თანახმად, უხრწნელობის ღვთის ხატად და მსგავსად ცხოვრებისაკენ შემოაქცევს.

– ბატონ თამაზ, რას გრძნობთ, როცა ხედავთ თქვენს მიერ განკურნებულ ადამიანს?

– არსებობს ბედნიერება – განიცადო შინაგანი უზარმაზარი სიხარული, როდესაც მიანიჭებ ადამიანს სიცოცხლეს, რადგან არ არსებობს არანაირი ჯილდო უფრო მეტი, ვიდრე ჯანმრთელობა და სიცოცხლე. განსაკუთრებული ბედნიერებაა, როცა ეს ეხება ბავშვებს, მე ვთვლი, რომ თუნდაც ერთი გადარჩენილი ბავშვი მე პირადად მანიჭებს ყოველი უბედურებისგან ბედნიერებას და ყოველი ცოდვისაგან ხსნას. ძალიან ბევრი ბავშვი მყავს გადარჩენილი და თუ ეს მეთოდი გავრცელდა დედამიწაზე, კაცობრიობა აღარ იქნება ავად. ეს მეთოდი პანაცეაა. გადარჩება უამრავი სიცოცხლე. ეს არის ის ბედნიერება, ის წარუშლელი ნეტარება, რომლისკენაც მივისწრაფი და ყველაფერს ვაკეთებ და ვცდილობ გავაკეთო, იმისათვის, რომ ეს საოცრება, საკუთარი შინაგანი თავის მართვის კულტურა ერგოს ჩემს ერს და კაცობრიობას.

– ახლა კი პრობლემების შესახებ. რა პრობლემები გაქვთ, რით ირჩენთ თავს?

– ვირჩენთ თავს მხოლოდ და მხოლოდ იმ საქველმოქმედო შემონაწირით, რომელსაც გვწირავენ ჩვენ, როგორც თავად ქველმოქმედებს. ჩვენი ძირითადი პრობლემა, როგორც ყოველი საქველმოქმედო ორგანიზაციისა, არის მატერიალური.

– რას ისურვებდით?

– სურვილის სახით ვიტყოდი, რომ გამოჩნდეს ისეთი ვინმე, ვინც მოვა, დარწმუნდება ყოველივე ზემოთნათქვამში და ამის შემდეგ ამოგვიდგება მხარში იმისათვის, რომ ეს საოცრად ეფექტური და განსაცვიფრებლად მარტივი მეთოდი დაინერგოს ერში, მოგვცეს იმის შესაძლებლობა, რომ დავეხმაროთ უპირველესად ბავშვებს და შემდგომ ყველა სხვას.

– რაზე მუშაობთ ამჟამად?

– ამჟამად ვმუშაობ მეტად საინტერესო პრობლემაზე. ეს არის მე-20 ს-ის დასასრულისა და 21-ე ს-ის დასაწყისის ის განსაკუთრებული მდგომარეობა, რაც მოითხოვს დაფიქსირებასა და ერთგვარად გეზის მიცემას დოკუმენტის სახით. არსებობს ადამიანის უფლებათა დეკლარაცია, რომელმაც არნახულად მოაწესრიგა სახელმწიფოთა კონსტიტუციები, დაამკვიდრა დედამიწაზე საკმარისად ძლიერი დემოკრატიული საწყისები, მაგრამ ხშირად ადამიანები აქვეითებენ და ამცირებენ სულიერ ქმნილებათა ნიმუშებს და დღეს ადამიანის უფლებათა დეკლარაცია ისეთი ძალით აღარ მუშაობს, როგორც ადრე. ამიტომაც გაჩნდა აზრი შემექმნა ადამიანის უფლებათა ისეთი დეკლარაცია, რომლის დამდაბლებას და პროფანაციას ვერ მოახერხებს ვერცერთი სოციალური ფენა. ეს იქნება 21-ე ს-ის ადამიანის უფლებათა დეკლარაცია, ეს იქნება არა ის უფლებანი, რომლებიც ენიჭება ადამიანს, რაც არის პრეტენზიული მოვლენა, უფლება, როგორც ეს იუნესკოს დირექტორმა ფედერიკო მაიორმა განაცხადა, წარმოადგენს იმ მოვლენას, რომელიც უნდა მოიპოვოს ადამიანმა, სწორედ ასეთი პრინციპით იწერება ეს დეკლარაცია. ადამიანს ექნება ის უფლებები, რაც მან უნდა მოიპოვოს საკუთარი პიროვნების წინაშე, ერის წინაშე და, რა თქმა უნდა, უფლის წინაშე. აი ამ პრობლემაზე ვმუშაობ ამჟამად.

– დიდი მადლობა.

„თურქეთში ჩვენი ექსპედიციის მიზანი ქართული ისტორიული ძეგლების გადალება და არა სამხედრო დანიშნულების ობიექტების დაფიქსირება იყო“

განაცხადა გუშინ, მწერალთა კავშირში გამართულ პრეს-კონფერენციაზე მსახიობმა გიორგი ხარაბაძემ, რომელიც ოქტომბრის შუა რიცხვებში საქართველოდან თურქეთში გამგზავრებულ 8 კაციან ექსპედიციას ხელმძღვანელობდა.

შეგახსენებთ, რომ ექსპედიციის წევრები, ჩასვლიდან რამდენიმე დღეში „გამოაძევეს“ თურქეთის ტერიტორიიდან, როგორც მოგვიანებით გაირკვა იმ მიზეზით, რომ ისინი სამხედრო დანიშნულების ობიექტებს იღებდნენ.

ამასთან დაკავშირებით, მსახიობი მთელი პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ ექსპედიციის წევრებს, რომელთა შორის იყო რუსი ჟურნალისტი იური როსტი, ართეინის გუბერნატორის ხებართვისა და პოლიციის თანხლების გარეშე ნაბიჯიც კი არ გადაუდგამთ. მიუხედავად ამისა, სასტუმროში მიბრუნებისთანავე, ჯგუფის წევრები დააკავეს და ჩამოართვეს როგორც ვიდეომასალა, ისე ლიტერატურა.

გ.ხარაბაძემ ქართულ გაზეთებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს, რომელიც იური როსტისადმი გამოთქმულ ბრალდებებს ეხება, „პოპულისტური“ უწოდა და შეგვახსენა ჟურნალისტებს, რომ იური როსტს ჩვენი დაცვა არ სჭირდება, მას „რუსეთის პრეზიდენტი და რუსული პრესა დაიცავს“.

პრეს-კონფერენციას ესწრებოდა სახალხო დამცველის პოსტზე ახლად არჩეული დავით სალარიძე. მან აღშფოთება გამოთქვა საქართველოს მოქალაქის უფლებების უხეშად დარღვევის გამო და აღუთქვა დამსწრე საზოგადოებას, რომ აუცილებლად მიმართავს საქართველოს საგარეო უწყებას, რათა ამ უკანასკნელმა საპროტესტო ნოტა გაუგზავნოს თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, თავისი ტერიტორიიდან ქართველთა „გამოძევების“ გამო. (იფრინდა)

ნოდარ ბესტავაშვილი

დღეს მისი გარდაცვალების წლისთავია. 38 წელი იცოცხლა. ბრმა ტყვიამ მოულოდნელად შეწყვიტა ამ ახალგაზრდა, ენერგიითა და სიკეთით სავსე კაცის სიცოცხლე.

ნოდარ ბესტავაშვილის ცხოვრება იყო ტრაგედია იმ კაცისა, რომელიც სრულიად უნებლიედ, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო აღმოჩნდა იმ კატაკლიზმებში, მის ზურგზე გადაიარა იმ უბედურებამ, რაც რუსმა დაატრიალა ქართველებსა და ოსებს შორის.

ნოდარი საქართველოში დაიბადა და გაიზარდა. ბორჯომის ხეობის მკვიდრი იყო. შესანიშნავი სპორტსმენი ჭიდაობაში. მრავალგზის პრიზიორი მაშინდელი კავშირის მასშტაბით. დედით ქართველი, ქართველების მოსიყვარულე. მისი სამშობლო საქართველო იყო.

აირია ქვეყანა, აირია მონასტერი და ერთ დღეს სხვა დამნაშავე ოსებთან ერთად მისი დედ-მამა, მისი ოჯახიც აყარეს სოფლიდან.

ცხოვრობდა ვლადიკავკაზში. იქ ბიზნესს მოჰკიდა ხელი, წელი მოიმაგრა და ქართველი ბიჭები საკუთარი ხარჯებით წაიყვანა მოსკოვს საჭიდაოდ. ვლადიკავკაზში ყველა ქართველის მასპინძელი და ერთგული თანამდგომი იყო.

მოულოდნელად ბრმა ტყვიამ იმსხვერპლაო, ვწერთ. ეს მოსკოვში მოხდა, იმ ქვეყანაში, რომელმაც სიყვარული ოსსა და ქართველს შორის სიძულვილად აქცია, თუმცა ნოდარ ბესტავაშვილი, უსამართლოდ დევნილი, არ აჰყვა ამ სიძულვილს.

ნათელში იყოს შენი სული, ჩვენო საყვარელო ძმაო, ჩვენო ნოდარ!

თანაკლასელები

პარლამენტში ბაგრატოვანთა სახელობის დარბაზი გაიხსნა

„იშვრინდა“-ს კორესპონდენტის ცნობით, გუშინ პარლამენტის შენობაში გაიხსნა ბაგრატოვანთა დინასტიის სახელობის დარბაზი. დარბაზი გახსნა პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ. გახსნის ცერემონიალს ესწრებოდნენ პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ე.შენგელაია, პარლამენტის მიგრაციისა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საქმეების კომიტეტის თავმჯდომარე გ.შარაძე.

ბაგრატოვანთა სახელობის დარბაზში გამოფენილია გიორგი გეგეჭკორის მიერ ზეთში შესრულებული ქართველ მეფეთა – ფარნავაზის, ვახტანგ გორგასლის, ერეკლე მეორის, დემეტრე თავდადებულის და გიორგი ბრწყინვალეს ტილოები.

როგორც ზ.ჟვანიამ განაცხადა, პარლამენტში საჭირო იყო ასეთი გამოჩენილი ქართული გვარის სახელობის დარბაზის არსებობა.

გ.გეგეჭკორის თქმით, კულტურის სამინისტროსთან დაარსდა სამხატვრო სახელოსნო, სადაც შეიქმნება ქართველ მეფეთა და საზოგადო მოღვაწეთა ტილოები. მისი თქმით, მომავალში სახელოსნოში დაგეგმილია თამარ მეფის და დავით აღმაშენებლის 2 მეტრიანი ტილოების დახატვა, რომლებიც ბაგრატოვანთა სახელობის დარბაზს გადაეცემა. (იშვრინდა)

საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების, მოსახლეობის საყურადღებოდ!

სააქციო საზოგადოება „საქართველოს სახელმწიფო დაზღვევა“ ღებულობს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ შემთხვევითი პიროვნებების მიერ ადგილი აქვს სადაზღვევო მომსახურების შეთავაზებას და ყალბი დოკუმენტებით დაზღვევის ხელშეკრულებების გაფორმებას.

ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო დაზღვევის“ ხელმძღვანელობა თხოვნით მოგმართავთ, არ დაუშვათ წინდაუხედაობა და პირადობის მოწმობის წარდგენის გარეშე არავისთან არ დადოთ სადაზღვევო ხელშეკრულება.

ს.ს.„საქართველოს სახელმწიფო დაზღვევას“ რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში აქვს დაზღვევის ფილიალების დირექციები. მათ შორის, ქთბილისის ათიევ რაიონში, სადაც შეგიძლიათ, თქვენთვის სასურველ პირობებში საიმედოდ დაზღვიოთ.

ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო დაზღვევა“

კროსვორდი



ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 3. ბგერათა რიგის ორსაფეხურიანი ინტერვალი; 5. დიდი ფრინველი, გავრცელებულია ანდებში, სვავის ნაირსახეობა; 8. ღვინოზე მოკიდებული თხელი აფსკი; 10. გამოფენა, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ, რეგულარულად იმართება; 14. სოფი ლორენის როლი მხ.ფილმიდან „გუშინ, დღეს, ხვალ“; 17. „ხალხის მეგობარი“ ერთ-ერთი დიდი ტერორისტი საფრანგეთის რევოლუციისა; 18. ერთვალენტიანი ორგანული რადიკალი, პლასტმასა; 19. არქიტექტურული ელემენტი, აქვს წვიმისგან კარ-ფანჯრის დაცვის ფუნქცია; 26. დახურული აივანი შენობის ირგვლივ; 27. მატარებლის თვლის ნაწილი, რომელიც იცავს მას რელსებიდან აცდენისაგან; 28. პოსტკომუნისტური რუმინეთის პირველი პრეზიდენტი; 30. ცეცხლგამძლე და მყავა-ტუტე გამძლე, თბოსაიზოლაციო ბოჭკოვანი მინერალი, მაგრამ თურმე კანცეროგენი ყოფილა; 31. უდიდესი ამერიკელი პოეტი; 38. შენობის პერიმეტრულად განლაგებული საყრდენი ბოძები; 39. აზიის დიდი ყვითელი მდინარე; 40. ცხენის, ჯორის აღკაზმულობა; 43. ძველ რომში მცხოვრები ტომები აპენინის ნახევარკუნძულზე; 44. „უთქვენოდ მითქვამს კვლა...“ (შოთა); 46. XX საუკუნის აშშ პრეზიდენტი, პროფესიულ დონეზე ფლობდა ფორტეპიანოზე დაკვრის ოსტატობას; 47. სერგეი ესენინის გულის ვარდი, აისედორა... 48. ასაფეთქებელი ნივთიერება.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. კორეული ავტომობილი „პიუნდაი“-ს პოპულარული მოდელი; 2. რუსული ხრახნიანი გიგანტური თვითმფრინავი (არ დაგვეიწყდეთ, საკუთარი სახელები არ ითარგმნება!); 3. თევზი თართისებრთა ოჯახიდან; 4. პოპულარული შვედური საესტრადო ანსამბლი; 5. მდინარე ჩრდილოეთ კავკასიაში; 6. ინდოეთის ექს-პრემიერი; 7. ერთეულოვანი ვექტორი; 9. ჭანგი, ბრჭყალი; 11. ბიბლიური წინასწარმეტყველი; 12. ქართველი პოეტის მირცხულავას სახელი; 13. ევროპული ვალუტა, ადრე ფრანგული მონეტა იყო; 15. პიესის, სცენარის ავტორი; 16. ყოფილი სსრკ რესპუბლიკის პრეზიდენტი; 20. ეის მოემსახურა ჰერაკლე ურთულესი, მე-12 გმირობისას? 21. კაბის დეკორატიული ელემენტი, მაქმანი; 22. სომხეთის ძველი დედაქალაქი; 23. ნ.დუმბაძის „მზიანი ღამის“ პერსონაჟი, ჩეკისტი; 24. რომაელთა მარსის ბერძნული ექვივალენტი; 25. ფრანგი მომღერალი ქალი, ითვლება ედიტ პიაფის მემკვიდრედ; 29. კილოკავი, თითქმის ეარგონი; 32. თხელი აფსკი; 33. უეცარი შიში; 34. ჰენრიხის ფრანგული ეარიანტი; 35. აკრძალვა, აკრძალული თემა; 36. იაპონური ბრინჯის არაყი; 37. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ფეხბურთელი ბრაზილიიდან ვალდირ პერეირა ანუ... 41. ხოგაის... 42. კომბინაცია პოკერში; 44. მ.გორკის ნაწარმოების გმირი, ვინც თავისი გულით ხალხს გზა გაუნათა; 45. პორტი თურქეთში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე.

გვანცა ჭანგურია

წინა ნომრის პასუხები

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. კალა; 2. ირემი; 4. თხილი; 5. ილია; 6. ლაფი; 7. ქლორი; 10. არმია; 12. რეოგანი; 13. ბიოლოგი; 15. დარდი; 16. ოფოფი; 17. ლიბია; 18. ქორდა; 22. ატომი; 24. კიტრი; 27. ქურდი; 28. მუნი; 29. აბანო; 30. არყი; 31. კატა.

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 1. კასიო; 3. ათასი; 7. ქულა; 8. ელამი; 9. მინა; 11. ირიბი; 14. რადიო; 17. ლექსი; 19. ფაიტონი; 20. ორმო; 21. ბარი; 23. ფლაკონი; 25. ტვინი; 26. აბაზი; 27. ქიმია; 32. იორი; 33. რანდა; 34. ბატი; 35. იღლია; 36. აორტა.

ზუგდიდის მერმა პედაგოგების გაფიცვა დესტაბილიზაციის მოსურნე ძალებს დააბრალა

ზუგდიდის მე-4 საშუალო სკოლის პედაგოგებმა გაფიცვა გამოაცხადეს 3 ნოემბერს იმის გამო, რომ აგვისტოს შემდეგ არ მიუღიათ ხელფასი. აქციას მეორე დღეს შეუერთდა ზუგდიდის ზურაბ ჭავჭავაძის სახელობის ჰუმანიტარული ლიცეუმის პედკოლექტივი. ზუგდიდის მერმა ლერი ჭითანავამ პრაიმ-ნიუსთან საუბარში აქციის მოწყობაში რეგიონში დესტაბილიზაციის შეტანის მოსურნე ძალები დაადანაშაულა.

აქციის მონაწილეთა თქმით, რეგიონის პედაგოგთა საშუალო თვიური ხელფასი 46 ლარს შეადგენს, რასაც დაკავებებისა და გადასახადების შემდეგ „ხელზე“ 25 ლარის ოდენობით იღებენ.

კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში არიან რეგიონის სოფლების სკოლების მასწავლებლები – მათ უკვე 6 თვეა, რაც ხელფასი არ აუღიათ.

ზუგდიდისა და რაიონის სოფლების სკოლების დირექტორებთან შეხვედრაზე, რომელიც გუშინ შედგა, ქალაქის მერმა ლერი ჭითანავამ აქციის მოწყობაში ის ძალები დაადანაშაულა, რომელთაც დესტაბილიზაციის შეტანა სურთ რეგიონში. „სკოლების დირექტორებს გაფიცვის მოწყობის ნაცვლად შეეძლოთ ბანკებში მისვლა და ხელფასების გამოტანა“, – უთხრა პრაიმ-ნიუსს ზუგდიდის მერმა.

როგორც პრაიმ-ნიუსს ლიცეუმის დირექტორმა მადონა ჭაბუამ უთხრა, აქცია არ ყოფილა წინასწარ დაგეგმილი და მისი დაწყება პედაგოგთა „მოთმინების ფიალის ავსებითაა“ გამოწვეული.

ზუგდიდის მერმა განათლების რაიონულ განყოფილებას დაავალა ამ ორი სასწავლებლის დირექტორთა თანამდებობებზე ყოფნის მიზანშეწონილობის განხილვა. (პრაიმ-ნიუსი)

საქართველოს სამხედრო კომისარმა გენერალ-ლეიტენანტმა ნ.თათარაშვილმა 1997 წლის 6 სექტემბერს გამოსცა განკარგულება №2-2412, რომლის შესაბამისად საქართველოს ყველა საშუალო სკოლაში დაწყებითი სამხედრო სწავლება უნდა წარიმართოს ქართულ ენაზე.

პედაგოგთა ღირსების დაცვის ასოციაცია მიესალმება საქართველოს სამხედრო კომისრის ამ განკარგულებას და იმედს გამოთქვამს, რომ მიუხედავად გარკვეული ძალების წინააღმდეგობისა, იგი ჭეშმარიტად განხორციელდება. დაცული იქნება ქართული ენის სახელმწიფო სტატუსი.

პედაგოგთა ღირსების დაცვის ასოციაციის საკოორდინაციო საბჭოს აღმასრულებელი მდივანი გ.ამაშუკელი

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444